პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
შაბათი
13 ივნისი
№ 137 (18079)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

კოოპერირება: საჭირო და სარფიანია!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემები დასახა ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებებში ერთ-ერთი ძირითადი საკითხი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაა, რომლის ძირითადი ამოცანაა საიმედოდ უზრუნველყოს ქვეყანა სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით საჭიროა უზრუნველვყოთ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგების ერთიანი დაგეგმვა, პროპორციული და შეწონასწორებული განვითარება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი განმტკიცება, დარგების ეკონომიკური კავშირურთიერთობის სრულყოფა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გასადიდებლად, მომხმარებლამდე პროდუქტების მიტანის გასაუმჯობესებლად დარგების ზუსტი თანამოქმედების ორგანიზაცია.

სოფლის მეურნეობაში უნდა მივაღწიოთ ყველა დარგის დინამიკურ განვითარებას და ეფექტიანობის ამაღლებას, პროდუქციის წარმოების ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან ახალ მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა განვაგრძოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის კურსი. უნდა ამაღლდეს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონე. ენერგიის დაუშურებლად და მთელი უნარის გამოყენებით უნდა გავაძლიეროთ სასოფლო რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა საერთო-საკავშირო სასურსათო ფონდის ჩამოყალიბებაში, აგრეთვე კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში.

უკანასკნელ წლებში ჩვენში დაგროვილი მდიდარი გამოცდილებით ვიცით, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის გადიდებას, მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას ბევრად უწყობს ხელს ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი დარგების მართვის რაციონალური მეთოდები. აქედან გამომდინარე მიღებულია გადაწყვეტილება შემუშავდეს ერთიანი სასურსათო პროგრამა. სასურსათო პროგრამის მთელი პერიპეტიების გათვალისწინებით შემუშავდა ხუთწლედ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით შესაბამის ორგანოებს დაევალათ შეიმუშაონ და დაამტკიცონ მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის გამაზრდისა და შესყიდვის და ნამეტი რძის შესყიდვის ტიპობრივი ხელშეკრულებანი. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ამ ხელშეკრულებით საზოგადოებრივი მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ვალდებულებანი, რომ ისინი დაეხმარებიან კოლმეურნეებს, მუშებს, მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებს პირუტყვისა და ფრინველის მოზარდეულით, საკვებით უზრუნველყოფაში, გამოუყოფენ სათიბ-სახმაურ ნაკვეთებს. გაუწევენ სხვა დახმარებას, აგრეთვე გაითვალისწინებენ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის წესისა და ანაზღაურების პირობებს.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა შესანიშნავად თქვა, რომ „მშრომელთა კუთვნილი ბაღები, ბოსტნები, ფრინველი, პირუტყვი — ეს ჩვენი საერთო დოვლათის ნაწილია“. მაშასადამე, საერთო დოვლათი უნდა იქმნებოდეს საზოგადოებრივი და პირადი მეურნეობების შეხამების საფუძველზე, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს პროდუქტების სიუხვეს და ჩვენს ქვეყანაში სასურსათო პროგრამის განხორციელებას.

საზოგადოებრივი და პირადი მეურნეობების შეხამების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ჩინებული წესი შეიმუშავეს აბაშის რაიონში, რამაც ხელი შეუწყო პროდუქტების უხვად წარმოებას და საზოგადოებრივ მეურნეობათა რენტაბელობას. ამასთან აქ ერთიორად გაიზარდა სოფლის მშრომელთა დაინტერესება, რადგან ამ წესით მშრომელთა შრომის ანაზღაურება დიდად მატულობს. რამდენიმე წელია აბაშელები კოოპერირების ახალ წესს საგულდაგულოდ ამუშავებენ, ხვეწავენ და სასურველ შედეგებსაც აღწევენ. ამას წინათ კი საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი — ხორცისა და რძის წარმოებაში მოსახლეობის საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირების დამატებით ღონისძიებათა შესახებ და შესაბამისი დადგენილებაც მიიღო. მანამდე კი შეიმუშავეს და საკმაო რაოდენობით დაბეჭდეს ხელშეკრულების ბლანკები.

ამ დადგენილებაში ნათქვამია, რომ რაიონში, ექსპერიმენტის სახით, პირველად 1979 წელს განხორციელდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გასადიდებლად მოსახლეობის საზოგადოებრივ მეურნეობებთან კოოპერირება. გაფორმდა 8.000 ხელშეკრულება, შეიქმნა სათანადო პირობები ხორცის წარმოების გასადიდებლად. შედეგმა მოლოდინს გადაამეტა — პირადი დამხმარე მეურნეობიდან, ნინა წელთან შედარებით, 380 ტონით მეტი ხორცი მიეყიდა სახელმწიფოს. მარშან უფრო გაფართოვდა კოოპერირების სფერო და ეს წესი დაინერგა რძის წარმოებაშიც. წარმატება რომ გამტკიცებულიყო, თავიდანვე იზრუნეს პირუტყვის საკვები ბაზის შესაქმნელად. ამ მიზნით რაიონს 2.100 კომლს დასამუშავებლად გადაეცა შედარებით მცირემოსავლიანი 998 ჰექტარი სახნავი მიწა. ხელშეკრულების გაფორმებამდე რაიონში ფართოდ გაჩაღდა პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ყოველივე ამან შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. მარშან პირადი დამხმარე მეურნეობიდან სახელმწიფოს 992 ტონა რძე მიეყიდა, ე. ი. შვიდჯერ მეტი, ვიდრე წინა წელს. რაიონის მშრომელები დარწმუნდნენ, რომ კოოპერირება ორმხრივ სასარგებლოა, გადაწყვეტეს უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ ამ საქმეში. ბევრი ოჯახი 10-40 სულ ღორს ახუქებს, რომ მერე სახელმწიფოს მიჰყიდოს ხორცი. რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები პირველ რიგში ხელს უწყობენ იმ ოჯახებს, რომლებიც 10-40 სულ ღორს უწლიან. ამ ოჯახებს ეხმარებიან მოუწყონ მარტივი ტიპის სახლები მოედანი, აძლევენ საკვებს და სხვა.

აი, ასეთია აბაშელთა დიდი თაოსნობა და გამოცდილება, რომელიც სხვა რაიონებშიც ვრცელდება. ეს საჭირო და სარფიანი საქმე უთუოდ გავრცელდება მთელ საქართველოში, რაც მრავალმხრივ იქნება სასარგებლო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლის თავის მოხსენებაში თქვა:

„ხორცის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოების გადიდების საქმეში კარგი დამხმარე საშუალება გახდა ეკონომიკური ურთიერთობის ისეთი ფორმა, როგორიც არის საზოგადოებრივი მეურნეობის კოოპერაცია საკარმიდამოსთან. ამ ფორმას მარჯვედ და დიდი ეფექტიანობით იყენებენ აბაშის, მახარაძის, სამტრედიის, გარდაბნის, თერჯოლის რაიონებში“.

კოოპერირების ამ ახალ ფორმას კარგად იყენებს რესპუბლიკური გაერთიანება „საქფრინველმრეწვი“. ამ საქმეს ბევრი ენთუზიასტი გამოუჩნდა აგრეთვე ცხაკაიას, ხობის, ზუგდიდის, ხაშურის, დუშეთის რაიონების მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი მეურნეობების მოსახლეობასთან კოოპერირება შედარებით ახალი საქმეა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები უნდობლად ეკიდებოდნენ ამ სასარგებლო, მაგრამ, მართალია, საპასუხისმგებლო საქმეს. დიდი მონდომება, დაკვირვება მართებთ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს, პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია რესპუბლიკის სახელი და ღირსება.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები ვალდებული არიან ალღოიანად გაზომონ თავიანთი შესაძლებლობანი და სრული ნებაყოფლობის საფუძველზე ფართოდ გაავრცელონ მოწინავეთა, თაოსანთა გამოცდილება. მათი საპატიო ვალია მთელი ძალით აამოქმედონ სასურსათო პროგრამის განხორციელების ეს დიდი რეზერვი. ასეთია საგზეიხო ამოცანა!

სურათზე: საუბრის დროს. საკვლევ-საქინფორმის ტელეფოტო.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო უ. პალმე

12 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციის „განიარაღებისა და უშიშროების საკითხების დამოუკიდებელი კომისიის“ თავმჯდომარე, შვეციის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ულოფ პალმე და ესაუბრა მისი მეთაურობით მოქმედი კომისიის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საუბრის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა მსოფლიოში კვლავ დაძაბულია. ეს იმის შედეგია, რომ მილიტარისტული წრეები დაადგნენ დაძაბულობის შენელებისათვის ძირის გამოთხრის, გამალებული შეიარაღების დაჩქარების კურსს, რათა დაარღვიონ მსოფლიოში შექმნილი სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობა და მოუპოვონ ნატოს ბლოკს სამხედრო უპირატესობა. ასეთი კურსი განსაზღვრავს დასავლეთის ქვეყნების ნეგატიურ მიდგომასაც შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების საკითხებზე მოლაპარაკებისადმი.

ამ საქმეში პრაქტიკულად ყველა ძირითადი მიმართულებით შეჩერდა ან უკუიქცა კიდეც მოძრაობა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პროცესი და ახლა მთავარ მეცადინეობას ახმარს იმას, რომ განხორციელოს სტრატეგიული შეიარაღების ახალი პროგრამები. ამერიკელთა ჩანაფიქრი, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეებისათვის დამიზნებული ახალი რაკეტები, საღდება ნატოს ევროპელ მონაწილეთა დასაცავ ღონისძიებად. სინამდვილეში კი ეს არის ცდა ძირი გამოუთხარონ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებით სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დასადგენ სტრატეგიულ ბალანსს და შეცვალონ იგი ამერიკის მხარის სასარგებლოდ. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, უაღრესად გაიზრდება დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოწყვლადობა კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში. ყველა ხალხს ინტერესები კი მოითხოვს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პროცესის განგრძობას და შესაბამის მოლაპარაკებათა განახლებას. საბჭოთა კავშირი მზად არის შეუდგეს ასეთ მოლაპარაკებას.

შეეხო რა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემას, ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონი ჯერჯერობით მაინცდამაინც არ ამჟღავნებს, რომ დიდად სწყეროდეს სერიოზული მოლაპარაკება და ცდილობდეს ამ საარსებო მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრას. როგორც ჩანს, ვაშინგტონში კვლავინდებურად მიზნად ისახავენ შეზღუდვის მიღწევას მარტო საშუალო სიშორის საბჭოთა რაკეტებისათვის, და შეთანხმების ფარგლებს გარეთ ამერიკის მოწინავე ბაზირების ბირთვულ სწეულებათა დატოვებას. ამგვარი მიდგომა აღმაშფოთებლად ეჩინა-ალმდგება თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპს, რის გამოც საბჭოთა მხარე ვერ დათანხმდება მას.

შეუწყნარებელია, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, მოლაპარაკების საკითხს ფაქტობრივად იყენებდნენ საფარად, რათა მიჩქმალონ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების თაობაზე ნატოს გადაწყვეტილების რეალიზაცია.

არც იმის დაუნახაობა იქნება, რომ ნატოს ბლოკელი მილიტარისტები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, განსაკუთრებით გააქტიურდნენ ახლა, როცა შეგნებულად აჩაღებენ ომის ისტერიას, ხელოვნურად აძაფრებენ შიშს მოჩმახული „საბჭოთა საფრთხის“ მიმართ. ამ კამპანიის ორგანიზატორები ისე ცრუობენ, რომ თავსაც კი არ იწუხებენ რამდენადმე დამაჯერებელი არგუმენტების მოსაყვანად. სოლიდური სახელმწიფო მოღვაწენიც კი არ თაკილობენ იაფფასიანი ნაყალბევების გამოყენებას, ოღონდ კი გათაოხონ სსრ კავშირის პოლიტიკა, დაანშინონ ადამიანები, გაამართლონ თავიანთი საომარი სამზადისი.

საბჭოთა კავშირს არ შეუძლია თვალი დახუჭოს ყოველივე ამაზე და არ გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ჩვენ, ხაზი გაუსვა ლ. ი. ბრეჟნევმა, არავის შევალახვინებთ ჩვენი უშიშროების ინტერესებს, არავის დავარღვევინებთ მსოფლიოში შექმნილ სამხედრო-სტრატეგიულ ბალანსს. საბჭოთა კავშირი გამონახავს შესაძლებლობას სწრაფად და ეფექტიანად უპასუხოს ყველას, ვინც მას გამოწვევას მოუნდომებს. ჩვენ მოვალენი ვართ ასე მოვიქცეთ.

საბოლოოდ ნატოს ბლოკი ვერას გამორჩება თავისი ცდით, მოიპოვოს სამხედრო უპირატესობა, მაგრამ მსოფლიოს თავს მოახვევს გამალებული შეიარაღების ახალ ეტაპს. ჩვენ ეს არ გვინდა, ხაზი გაუსვა ლ. ი. ბრეჟნევმა, ჩვენ გვწადია დაუყოვნებელი კონსტრუქციული მოლაპარაკება, პატიოსანი მორიგება, სამხედრო კონფრონტაციის დონის შემცირება ევროპაშიც და გლობალური მასშტაბითაც. შეიარაღების შეზღუდვა, რეალური განიარაღება — აი მშვიდობისა და ყველა ხალხის უშფოთველი მომავლის ნამდვილი გარანტია.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ყველა სახელმწიფომ, მთელმა საზოგადოებრივმა ძალებმა უნდა იღვაწონ, რათა მიაღწიონ მოლაპარაკების გაქტიურებას იმ მიზნით, რომ მშვიდობა ჩვენს პლანეტაზე უფრო საიმედო და მყარი გახდეს. მან განაცხადა, რომ სსრ კავშირი ყოველთვის მზად არის ითანამშრომლოს ყველა პოლიტიკური და რელიგიური მიმდინარეობის წარმომადგენლებთან გამალებული შეიარაღების აღკვეთისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში. შეეხეზღუდა სხეობა ხელს არ უნდა უშლიდეს ყოველი ადამიანის ძირითადი უფლების — სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფისათვის ბრძოლას. ლ. ი. ბრეჟნევმა „განიარაღებისა და უშიშროების საკითხთა დამოუკიდებელ კომისიას“ წარმატება უსურვა მის საქმიანობაში.

უ. პალმემ მადლობა გადაიხადა საბრძისათვის და ლ. ი. ბრეჟნევს გააცნო მისი მეთაურობით მოქმედი კომისიის მოსკოვში მიმდინარე სხდომის მუშაობა. გამოთქვა რა შეშფოთება საერთაშორისო ვითარების გამწვავებისა და გამალებული შეიარაღების ახალი ეტაპის განსაკუთრებული საშიშროების გამო, უ. პალმემ თქვა, რომ საჭიროა სახელმწიფოთა ფართო დიალოგი, შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების ფართო წრის საკითხებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკების გაქტიურება.

საუბარმა მეგობრული და კონსტრუქციული სულისკვეთებით ჩაიარა. მასში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი და „განიარაღებისა და უშიშროების საკითხთა დამოუკიდებელი კომისიის“ წევრი აკადემიკოსი გ. ა. არბატოვი. (საკვლევ).

პარტიის მიერ დასახული გზით

მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე

დამთავრდა სასწავლო წელი მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში. „პარტია საბჭოთა ხალხის ავანგარდია“ — ამ თემაზე მოეწყო შემაჯამებელი მეცადინეობანი პარტიული, კომკავშირული და ეკონომიკური სასწავლებლის ყველა რგოლში.

სკოლებისა და სემინარების მეცადინეობებმა, რომლებიც მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონით აღინიშნა, ცხადყო კომუნისტური პარტიის სულ უფრო მზარდი როლი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში. პროპაგანდისტებს და მსმენელებს თავიანთ გამოსვლებში მოჰყავდათ კონკრეტული მაგალითები იმისა, თუ როგორ იზრდება, მტკიცდება და ეფაქაცდება კომუნისტების პარტია. მათ შეაჯამეს შარშანდელი სასწავლო წელს გაწეული მუშაობის შედეგები, კონკრეტულად, საქმიანად ისაუბრეს იმ ამოცანებსა და პრობლემებზე, რომლებიც მათი კოლექტივების კომუნისტების, ყველა მშრომელის წინაშე დგას სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ახლანდელ მეცადინეობებს განსაკუთრებული შინაარსი შესძინა იმ ფაქტმა, რომ ისინი მოეწყო საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმის დამთავრებისთანავე, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, ინტერნაციონალური ერთიანობის ნათელ დღესასწაულად იქცა. ამ ზეიმში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობამ, თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრისას გამოთქმულმა მისმა რჩევა-დარიგებამ, მითითებებმა და შენიშვნებმა განსაზღვრა მსმენელთა დიდი პოლიტიკური აქტიურობა. მეცადინეობებზე გამოსულმა ორატორებმა მჭიდროდ დაუკავშირეს ისინი თავიანთი შრომითი კოლექტივების, ქალაქების, რაიონების, რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის საქმეებს, იკისრეს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა, პარტიის დიად წინასწარდასახულობათა უთუო განხორციელების გადიდებული ვალდებულებანი.

XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

ახლანდელ მეცადინეობებს განსაკუთრებული შინაარსი შესძინა იმ ფაქტმა, რომ ისინი მოეწყო საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო ზეიმის დამთავრებისთანავე, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, ინტერნაციონალური ერთიანობის ნათელ დღესასწაულად იქცა. ამ ზეიმში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მონაწილეობამ, თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრისას გამოთქმულმა მისმა რჩევა-დარიგებამ, მითითებებმა და შენიშვნებმა განსაზღვრა მსმენელთა დიდი პოლიტიკური აქტიურობა. მეცადინეობებზე გამოსულმა ორატორებმა მჭიდროდ დაუკავშირეს ისინი თავიანთი შრომითი კოლექტივების, ქალაქების, რაიონების, რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის საქმეებს, იკისრეს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა, პარტიის დიად წინასწარდასახულობათა უთუო განხორციელების გადიდებული ვალდებულებანი.

განაგრძობენ რა შეფობას მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემის ცალკეული სკოლებისა და სემინარებისადმი, შემაჯამებელი მეცადინეობანი ჩაატარეს ამხანაგებმა: თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანაში — პ. გ. გიულაშვილმა, თბილისის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხანაში — ა. ნ. ინაურმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში — გ. ვ. კოლბინმა, თბილისის დიდი ოქტომბრის 50-ე წლისთავის სახელობის მეტროპოლიტენის სამმართველოში — თ. ნ. მენთეშაშვილმა, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში — ზ. ა. პატარიძემ, თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში — ს. ე. ხაბეიშვილმა, ბათუმის მანქანათსაშენებელ ქარხანაში — ვ. რ. პაპუნიძემ, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა, მინისტრებმა, სხვა ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა მუშაკებმა. (საქინფორმი).

იდეური ფრთოების ძალა

შემაჯამებელი მეცადინეობის დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ მაუფ-კამეოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ პოლიტიკური განათლების საშუალო რგოლის სკოლის პროპაგანდისტს გივი გელაშვილს კარგად შეემუშავებინა დასკვნითი მეცადინეობის გეგმა.

ამას შედეგიც სასურველი მოჰყვა. თემაზე „სამყაროს გარდამქმნელი მოძღვრება“ საინტერესოდ ისაუბრეს მსმენელებმა, რომელთათვის სკოლის დაკვირვებულ ხელმძღვანელს ჯერ კიდევ ადრე შეერჩია საკითხები, თუ ვის რაზე ელაპარაკა და გაემახვილებინა ყურადღება. ეს იყო ცოდნის, გამოცდილების, შეხედულებათა ურთიერთგაზიარების მშვენიერი გაკვეთილი.

ალინა ბაღიშვილმა, რომელსაც კომბინატის სამეღბრო-გამომყვან საამქროში ნაკეთობათა და ზომათა აღრიცხვა ანაბრია, პირველმა აიღო სიტყვა და ილაპარაკა თითოეული მშრომელი კოლექტივის იმ საპროგრამო ამოცანებზე, რომლებიც დასახულია ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ხოლო ამ სიტყვის იმ ნაწილზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის, პარტიის საგარეო პოლიტიკას ეხება, კარგი რეფერატი წარუდგინა მეგობრებს პროფილაქტიკის საამქროს ქარგალმა ნიკო ოთარაშვილმა. მზა ქსოვილების გაზომვისა და მარკირების ბრიგადირმა ლამარა ზოსიძემ მსმენელებს შთამბეჭდავად გააცნო საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის საზეიმო სხდომაზე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვის არსი და ის ამოცანები, რომლებიც დასახულია ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დარგში.

ამის შემდეგ დაიწყო სკკპ XXVI ყრილობის მასალების გამეორება, ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა ამ დიდი ფორუმის შემდეგ მიღებულ შთაბეჭდილებათა ურთიერთგაზიარება.

ყოველი თემა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მსმენელთა პრაქტიკულ საქმიანობასთან, კომბინატის წინაშე დასახულ საწარმოო თუ პოლიტიკურ ამოცანებთან, მათი ყველაზე ეფექტიანად გადაწყვეტის გზების ძიებასთან.

ამ მხრივაც სკოლის მსმენელებს და მათს პროპაგანდისტს გივი გელაშვილს არცთუ ურიგოდ აქვთ საქმე, და ეს მთელი სასწავლო წლის მანძილზე მიღებული მტკიცე იდეური წრთობის შედეგებიც არის. ეს კი ნაყოფიერ შრომასთან ერთად თაოსნობის, ინიციატივის გრძნობას უღვივებს ადამიანებს; ამის მაგალითიც არაერთი მოიყვანეს შემაჯამებელ მეცადინეობაზე. სკოლის აქტიურმა მსმენელმა ანზორ გოგიაშვილმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაჯილდოვდა მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ საყურადღებო თაოსნობა გამოიჩინა — თავისი კოლექტივის სახელით პირობა დადო, რომ ვადაზე ადრე, სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის აითვისებდა წმინდა შალის გამოშვებას. სიტყვა საქმით განამტკიცა და ამან მოთელვის განყოფილების ქარგლის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა.

მსმენელებში არიან ინჟინერ-რაციონალიზატორებიც. მაგალითად, მურთაზ მირიანაშვილის მიერ წარმოებაში დანერგილმა ერთ-ერთმა ტექნიკურმა სიახლემ ოთხი ათასი მანეთი დაუზოგა საწარმოს, რაც შეეხება სკოლის მსმენელთა საერთო წვლილს კომბინატის საერთო მაჩვენებლებში, ის საკმაოო მნიშვნელოვანია. ყოველივე ამაზე სკოლის მსმენელებმა ინტერესით გაუზიარეს ერთმანეთს ანზორი და გადაწყვეტეს არ შეანელონ დამკვრელური შრომის ტემპი, ამრავლონ მიღწევები ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

შ. გულუა.

მსმენელთა დიდი აქტიუროგით

ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდი ფორუმის — სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკურ შეგნებასა და მათს შრომითს აქტიურობაზე.

ეს კარგად ესმით ახალციხის რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. ამიტომ არის, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებას, მარქსისტულ-ლენინური სოციალკვეთებით მათს აღზრდას. ამ საქმეში, ცხადია, დიდ დახმარებას უწევს პოლიტსკოლები და თეორიული სემინარები, რომელთა შემაჯამებელი მეცადინეობა მსმენელთა დიდი აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობს.

აღსანიშნავია ახალციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პარტიული ორგანიზაციის (კომბატების მდივანი ი. კუტანიძე) მაგალითი. მეურნეობა-ტექნიკუმის პარტიული კომიტეტი მთელი სასწავლო წლის მანძილზე ყურადღებას არ აკლებდა პარტიული განათლების სისტემას. სწორედ ამის შედეგია, რომ მათ საუბნო პირველდს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლებში და თეორიულ სემინარებზე ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე წარიმართა შემაჯამებელი მეცადინეობები.

უკლებლივ ყველა მსმენელი მოვიდა სოფელ კლდის საუბნო პირველდს ორგანიზაციასთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის შემაჯამებელ მეცადინეობაზე. პროპაგანდისტმა ტ. კაპანაძემ ტრადიციისამებრ საერთაშორისო მიმოხილვით დაიწყო მეცადინეობა, შემდეგ კი გაიმართა საუბარი მთავარ თემაზე — „პარტია საბჭოთა ხალხის ავანგარდია“.

საუკეთესო ცოდნა გამოავლინეს ა. ბლუაშვილმა, ა. დევნოსაძემ, გ. კურტანიძემ, ა. ლონდარიძემ, ოგიუსტ რენუარი, ანრი მატისი, ედგარ დეგა, პოლ სეზანი, კლოდ მონე და სხვები.

გამოფენის გახსნის წინ იგი დაათვალიერეს ამხანაგებმა ე. ა. შევარდნაძემ, გ. ა. ანდრონიკაშვილმა, გ. ნ. ენუქიძემ, გ. ვ. კოლბინმა, თ. ნ. მენთეშაშვილმა, ზ. ა. პატარიძემ, ჯ. ი. პატიაშვილმა, თ. ი. მოსაშვილმა, ი. ნ. ორჯონიკიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ ნ. შ. ჯანბერიძემ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ვ. ბერიძე და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი თ. ე. სანიკიძე (საქინფორმი).

იმპრესიონისტთა ნამუშევრების გამოფენა

12 ივლისს თბილისში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა იმპრესიონისტებისა და პოსტიმპრესიონისტების ნამუშევრების გამოფენა. ეს არის საფრანგეთის მუზეუმების კოლექცია, რომელიც შეიცავს 20 ავტორის 54 ნამუშევარს, მათ შორის ისეთი მხატვრებისა, როგორებიც არიან ამედეო მოდილიანი, პაბლო პიკასო, ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგემ ნ. შ. ჯანბერიძემ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ვ. ბერიძე და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი თ. ე. სანიკიძე (საქინფორმი).

ფიზკულტურა და სპორტი: ყველასთვის და თითოეულისთვის

საქართველოს სპორტულ ორგანიზაციას გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა

11 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ საქართველოს სპორტსმენთა ყველა თაობის წარმომადგენლები — ოლიმპიური ასპარეზობების, მსოფლიო და სსრ კავშირის ჩემპიონები, ფიზკულტურული მოძრაობის ენთუზიასტები. აქ გაიმართა რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა სპორტული ორგანიზაციების ამოცანებს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საბჭოთა საქართველოს და მისი კომპარტიის მე-60 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნების, რეკომენდაციებისა და რჩევა-დარიგებების მიხედვით. კრების კულმინაცია იყო რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა. ეს სპატიო ჯილდო მას გადაე

კოოპერირება დღეს და ხვალ

მხარი აქტიურად დავუჭიროთ საზოგადოებრივი მეურნეობის კოოპერირებას საქარმიდამოსთან. ამით გავადიდებთ მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებას!

...საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე რიგიანად იქენებენ საქარმიდამო ნაკვეთებზე ხორცისა და რძის წარმოების გაძლიერების რეზერვებს. ამხანაგებმა თქვეს, რომ სოფლის მცხოვრებნი ხალისით ეკიდებიან საქარმიდამო მეურნეობათა განვითარებას. ამას კვლავაც უნდა შევუწყოთ ხელი, ამასთან, რა თქმა უნდა, არ შევანელოთ ყურადღება საზოგადოებრივი წარმოებისადმი.

ლ. ი. ბრეჟნევი

ბარდაბნის რაიონმა ბოლო წლებში მებოსტნეობით გაითქვა სახელი. მაგრამ ბევრი აქაური მეურნეობის და საწარმოს კოლექტივები მეცხოველეობის პროდუქტიულობაშიც არანაკლებ თავმოსაწონებელ მაჩვენებლებს აღწევენ. შარშან რაიონმა 1975 წელთან შედარებით სახელმწიფოს მიჰყიდა 29.260 ცენტნერით მეტი ხორცი, 43.660 ცენტნერით მეტი რძე და 25.422 ათასი ცალით მეტი კვერცხი. წლეულს 5 თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად მეტია დამზადებული მეცხოველეობის პროდუქტები.

ეს თავგამოსაჩენი შედეგები მეცხოველეებს საკვებმომპოვებლებმა მოაპოვებინეს, რომლებმაც ბოლო სამ წელიწადში ერთიორად გაადიდეს ფურაჟის წარმოება. ყველა ამ წარმატების თავიდათავი კი ის არის, რომ რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ ქმედითი ღონისძიებებით უპასუხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის და 1980 წლის XIX პლენუმის გადაწყვეტილებებს — კომპლექსურად, მომავლის პერსპექტივით მიუდგა მეცხოველეობის დაჩქარებულ განვითარებას, უფრო გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი ინდუსტრიულ ტექნოლოგიაზე ამ დარგის გადაყვანის, წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის საქმეს, საქარმიდამო და დამხმარე მეურნეობათა შესაძლებლობების გამოყენებას.

— მეცხოველეობის პროდუქციის მოცულობის გადიდების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და რეალურ რეზერვად ჩვენ მიგვაჩნია საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერაცია საქარმიდამო მეურნეობებთან, — გვითხრა საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. ბოკერიამ, — და ამიტომ ყოველ ღონეს ვხმარობთ მოსახლეობას ხელი შევუწყოთ პირადი მეურნეობის გაძღოლაში, ნამეტი პროდუქციის რეალიზაციაში. დღენიადაგ ვზრუნავთ საქარმიდამო მეცხოველეობის სტიმულირებისათვის. დღითი დღე მეტი ყურადღება ეთმობა საქარმიდამო ნაკვეთებში მიწის მექანიზებულ დამუშავებას, აგროქიმიურ და სატრანსპორტო მომსახურებას, ჯიშიანი პირუტყვის, სანერგე მასალისა და თესლის გამოყოფას და სხვ. საჭიროა მეურნეობებსა და საწარმოებში შევქმნათ რეპროდუქტორები კოოპერაციაში ჩაბმული მოსახლეობისათვის ფრინველისა და გოჭების მისაბარებლად ან მისაყიდად.

მართლაც, ბოლო წლებში პარტიის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი, სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანება უფრო მეტს ზრუნავენ საქარმიდამო ნაკვეთის ყოველ მტკაველი მიწის ეფექტიანი გამოყენებისათვის, რათა მას სარგებლობა მოჰქონდეს მოსახლეობისათვისაც და საზოგადოებისთვისაც. ამ მიზნით დეპუტატები მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების ხშირი სტუმრები არიან. გებულობენ, რა დახმარება სჭირდებათ, სახელმწიფოსათვის რამდენი რძის, ხორცისა და სხვა პროდუქტების მიყიდვა შეუძლიათ; აფორმებენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ურთიერთვალდებულებებს შეიცავენ.

ამ საქმეში უფრო მეტი კომლის ჩასაბმელად უკვე ხალხისათვის სასარგებლო ბევრი კონკრეტული მაგალითის დასახელება შეუძლიათ. შარშან მოსახლეობას 2.100 ტონა კომბინირებული და 3.500 ტონა უხეში საკვები მიეყიდა, წლეულს მხოლოდ 5 თვეში კი — 2.600 ტონა კომბინირებული საკვები და 100 ჰექტარი საძოვარი გამოეყო.

მოსახლეობას პირუტყვი გაუმრავლდა

ამ ენერგიულ მეცადინეობას ცხოვრებისეული ქვეტექსტი აქვს, სახელმწიფო პრობლემებს ეხმიანება. ამის წყალობით არის, რომ რაიონში ბოლო ხანებში მოსახლეობის პირუტყვი გაუმრავლდა. საკარმიდამოდან სახელმწიფო სულ უფრო მეტ ხორცსა და რძეს ყიდულობს. შარშან 1978 წელთან შედარებით მოსახლეობამ სახელმწიფოს 15.000 ცენტნერით მეტი ხორცი ჩაბარა. წლეულს კი კოოპერირებით 4000 ცენტნერი ხორცი დამზადდება საკარმიდამო მეურნეობებში.

ამ მაჩვენებლებით რაიონი რეპუბლიკაში მოწინავე პოზიციაზეა და მაინც, ჯერ ადრეა იმის თქმა, რომ აქ ყველა რეზერვს სრულად იყენებენ.

ამ გარემოებას ხაზი გაესვა ამას წინათ გამართულ რაიონული აქტივის კრებაზე, სადაც დასახელეს შემდეგი ციფრები: 18519 კომლიდან 7196-ს ძროხა არა ჰყავს, 10895 ოჯახს კი არც ერთი ლი მტკაველი მიწის ეფექტიანი გამოყენებისათვის, რათა მას სარგებლობა მოჰქონდეს მოსახლეობისათვისაც და საზოგადოებისთვისაც. ამ მიზნით დეპუტატები მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების ხშირი სტუმრები არიან. გებულობენ, რა დახმარება სჭირდებათ, სახელმწიფოსათვის რამდენი რძის, ხორცისა და სხვა პროდუქტების მიყიდვა შეუძლიათ; აფორმებენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ურთიერთვალდებულებებს შეიცავენ.

ამ საქმეში უფრო მეტი კომლის ჩასაბმელად უკვე ხალხისათვის სასარგებლო ბევრი კონკრეტული მაგალითის დასახელება შეუძლიათ. შარშან მოსახლეობას 2.100 ტონა კომბინირებული და 3.500 ტონა უხეში საკვები მიეყიდა, წლეულს მხოლოდ 5 თვეში კი — 2.600 ტონა კომბინირებული საკვები და 100 ჰექტარი საძოვარი გამოეყო.

მოსახლეობას პირუტყვი გაუმრავლდა

ამ ენერგიულ მეცადინეობას ცხოვრებისეული ქვეტექსტი აქვს, სახელმწიფო პრობლემებს ეხმიანება. ამის წყალობით არის, რომ რაიონში ბოლო ხანებში მოსახლეობამ მოჰქონდეს მოსახლეობისათვისაც და საზოგადოებისთვისაც. დღითი დღე მეტი ყურადღება ეთმობა საკარმიდამო ნაკვეთებში მიწის მექანიზებულ დამუშავებას, აგროქიმიურ და სატრანსპორტო მომსახურებას, ჯიშიანი პირუტყვის, სანერგე მასალისა და თესლის გამოყოფას და სხვ. საჭიროა მეურნეობებსა და საწარმოებში შევქმნათ რეპროდუქტორები კოოპერაციაში ჩაბმული მოსახლეობისათვის ფრინველისა და გოჭების მისაბარებლად ან მისაყიდად.

მართლაც, ბოლო წლებში პარტიის რაიკომი და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი, სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანება უფრო მეტს ზრუნავენ საქარმიდამო ნაკვეთის ყოველ მტკაველი მიწის ეფექტიანი გამოყენებისათვის, რათა მას სარგებლობა მოჰქონდეს მოსახლეობისათვისაც და საზოგადოებისთვისაც. ამ მიზნით დეპუტატები მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების ხშირი სტუმრები არიან. გებულობენ, რა დახმარება სჭირდებათ, სახელმწიფოსათვის რამდენი რძის, ხორცისა და სხვა პროდუქტების მიყიდვა შეუძლიათ; აფორმებენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ურთიერთვალდებულებებს შეიცავენ.

ამ საქმეში უფრო მეტი კომლის ჩასაბმელად უკვე ხალხისათვის სასარგებლო ბევრი კონკრეტული მაგალითის დასახელება შეუძლიათ. შარშან მოსახლეობას 2.100 ტონა კომბინირებული და 3.500 ტონა უხეში საკვები მიეყიდა, წლეულს მხოლოდ 5 თვეში კი — 2.600 ტონა კომბინირებული საკვები და 100 ჰექტარი საძოვარი გამოეყო.

მოსახლეობას პირუტყვი გაუმრავლდა

ამ ენერგიულ მეცადინეობას ცხოვრებისეული ქვეტექსტი აქვს, სახელმწიფო პრობლემებს ეხმიანება. ამის წყალობით არის, რომ რაიონში ბოლო ხანებში მოსახლეობამ

კავშირი, რომელიც ყველას აძლევს ხელს

ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი რეზერვი

ბოდა პროდუქციის წარმოება, 1980 წელს 4 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია იქნა წარმოებული, მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი 1972 წელს მილიონ სამას ათას მანეთს შეადგენდა. კაცდღის ანაზღაურება 4 მანეთი და 15 კაპიკიდან 11 მანეთამდე გაიზარდა, ხოლო კოლმეურნის საშუალო თვიურმა გამომუშავებამ 239 მანეთს მიაღწია. ამ და სხვა წარმატებებისთვის კოლმეურნეობას არაერთხელ გადაეცა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი დროშები.

კახათელი კოლმეურნეები ენერგიულად შეუდგნენ აგრეთვე პარტიის მიერ გამოცხადებული სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლას.

„იმ საკმხებს შორის, რომლებზეც საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონეა დამოკიდებული, — აღნიშნა თავის სიტყვაში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმზე, — პირველ ადგილზე დგას სურსათით მომარაგების გაუმჯობესება“. ეს ფრიად პასუხსაგები საქმე ერთსულოვნად აიტაცეს კახათელებმა. შეიქმნა სასურსათო პროგრამის შემმუშავებელი კომისია, რომელსაც დაევალა გამონახოს დღემდე გამოუყენებელი და აუმოქმედებელი რეზერვები და მას საფუძვლად დაუდოს საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდა, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების მიზნით ფართოდ გამოიყენოს მოსახლეობასთან კოოპერირების მეთოდი.

ყველა რეზერვი —მეთერთმეტე ხუთწლედის სამსახურში!

კომისიამ სასურსათო პროგრამის შედგენისას უპირატესი ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტების წარმოების ზრდას, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო საკავშირო სასურსათო პროგრამის შესრულების საქმეში. კომისიამ შეისწავლა და დააზუსტა ყველა მაჩვენებელი, რომლებიც საჭირო იყო წარმოების განსაზღვრისათვის, მათ შორის ინტენსიფიკაცია, ექსტენსიური გზები, მიგდებული მიწების ჩაყენება მეურნეობის სამსახურში, ტყე-ბუჩქების ათვისება, მოსახლეობასთან სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერირების ფართოდ გაშლა, შრომის სწორი მეცნიერული ორგანიზაცია და სხვ.

საფუძვლიანად გაანალიზდა კოლმეურნეობის ადგილობრივი პირობების სპეციფიკა და პროფილი. ცალკეული დარგების მიხედვით შემუშავდა ღონისძიებათა კომპლექსი. სასურსათო პროგრამა ითვალისწინებს ახალ ხუთწლედში მეათე ხუთწლედთან შედარებით გადიდდეს პროდუქციის წარმოება 35,2 პროცენტით, კერძოდ, ჩაის წარმოება 40 პროცენტით, სიმინდისა — 74, სოიასი—98, რძისა—82, ხორცისა — 71 პროცენტით და ა. შ.

აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, კახათელმა მშრომელებმა წამოიწყეს პატრიოტული თაოსნობა დევიზით: „ყველა რეზერვი — მეთერთმეტე ხუთწლედის სამსახურში“, რომლის მიზანია ადგილებზე არსებული ყველა რეზერვის მაქსიმალური ამოქმედებით უზრუნველყონ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა უთუო შესრულება. პარტიის ზუგდიდის რაიკომის ბიურომ მოიწონა კახათელ მშრომელთა თაოსნობა და მიმართვა რესპუბლიკის მშრომელებისადმი, რომელიც გამოქვეყნდა რესპუბლიკურ გაზეთებში, და რჩევა მისცა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს აქტიურად დაუჭირონ მხარი და განახორციელონ კახათელ მშრომელთა პატრიოტული თაოსნობა.

კოლმეურნეობაში საქმე და საზრუნავი ბევრია, არადა, ყველაფერი მნიშვნელოვანი და გადაუდებელია. კოლმეურნეობის გამგეობამ, პირველადმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საბრძოლო ამოცანად მოსახლეობის პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის საკვების უზრუნველყოფისათვის ზრუნვა დაისახეს. დამატებითი რეზერვების ამოქმედებით დამზადებული ჭარბი საკვები ხელსაყრელ პირობებში მიეყიდა მოსახლეობას. მაგალითად, 2250 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, 116 ტონა ჩალა, აგრეთვე დიდძალი კომბინირებული საკვები. სანაცვლოდ შარშანვე ნოემბერ-დეკემბერში იმავე მოსახლეობამ გაასუქა და კოლმეურნეობას მიჰყიდა 102 სული ღორი (9.667 კილოგრამი).

— ჩვენი სოფლის მეცხოველეობის მუშაკებს ესმით, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც დაგვისახეს სკკპ XXVI ყრილობამ და საბჭოთა საქართველოს იუბილეზე სიტყვით გამოსვლისას, აგრეთვე რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან საუბრისას ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — გვითხრა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატმა ჯონტო გუგუჩიამ, — ამ მიზნით ვითვალისწინებთ საზოგადოებრივ სექტორში ნაცვლად 3.600 ცენტნერისა ვაწარმოოთ 4.500 ცენტნერი რძე, თითოეული ძროხის წველადობა საგგმო 2400 კილოგრამის ნაცვლად გაგზარდოთ 3 ათას კილოგრამამდე, მნიშვნელოვნად გავადიდებთ ხორცის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვას. ყველა პირობა გვაქვს, რათა საკუთარი წარმოების უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით უზრუნველვყოთ როგორც საზოგადოებრივი, ისე მოსახლეობის პირუტყვი.

აბაშელთა მაგალითი მოიწონეს, წარმოებაში დანერგეს

სასურსათო პროგრამის შედგენისას ფართოდ ვითვალისწინებთ აბაშის ექსპერიმენტს, მოსახლეობასთან კოოპერირებას, როგორც მსხვილფეხა პირუტყვის, ისე ღორების სუქებას. ამ მხრივ 330 ოჯახს დავუდეთ ხელშეკრულება. ვითვალისწინებთ აგრეთვე ქუბების კოოპერირებას. ჯერჯერობით 30 ქუბი გადავეცით მოსახლეობას გასასუქებლად. წლის ბოლომდე გვეყოლება 150 სული, რაც რეზერვი იქნება მომავლისათვის. წლეულს 1 იანვრისათვის 205 კომლს არ ჰყავდა ძროხა. კოლმეურნეობამ მათ გამოუყო 80 ათასი მანეთი, თითოეული უძროხო ოჯახი ძროხის შესაძენად მიიღებს სესხს — 600 მანეთს. ამ გზით დღისათვის 45-მა კოლმეურნემ შეიძინა ძროხები. საზოგადოებრივი მეურნეობიდან მოსახლეობას მივყიდით 30-35 სულ უშობელს, აგრეთვე 600-650 ტონა უხეშ საკვებს წარმოების ფასებში, 450 ტონამდე სიმინდის მარცვალს და ა. შ.

ჯერჯერობით კოლმეურნეობას მოსახლეობასთან კოოპერირების ორი მეთოდი აქვს გამოყენებული. ერთი გახლავთ პირად მეურნეობაში მყოფი პირუტყვის გამოზრდა და კოლმეურნეობისათვის ჩაბარება, რისთვისაც კოლმეურნეობა მოსახლეს დროებით გამოუყოფს მიწის ნაკვეთს მხოლოდ საკვები კულტურების დასათესად ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სარგებლობისათვის. მიწის დასამუშავებლად დაეხმარება ტექნიკით, მისცემს თესლს და მინერალურ სასუქებს ღირებულების გადახდევინებით, გაუწევს ვეტმომსახურებას, ნაკვეთიდან მიღებული საკვები კულტურების მოსავალს მისცემს უფასოდ, გამოუყოფს ტრანსპორტს დამზადებული საკვების გადასაზიდად.

კოოპერირების მეორე მეთოდი კი ითვალისწინებს მოსახლეობისათვის არა მარტო კოლმეურნეობის პირუტყვის მიბარებას გამოსაზრდელად და ჩასაბარებლად, არამედ რეპროდუქტორების გადაცემას ჯოგთა საწარმოებლად და მოზარდების გასასუქებლად და ჩასაბარებლად. მეკომფორი კოლმეურნეობიდან ღებულობს შრომის დიდ ანაზღაურებას, საკვებს, ბინის ქირას და ერიცხება კაცდღე, ვეტერინარული მომსახურებაც უფასოდ ეწევა. კოოპერაციაში გაერთიანებული თითოეული მშრომელი უვლის ჩაის, ტუნგს, ციტრუსებს, ერთწლოვან კულტურებს და აქტიურად მონაწილეობს კოლმეურნეობის შრომითს საქმიანობაში.

ვათვალიერებთ კოლმეურნეების კ. ჩახაიას, ფ. ცხონდიას, ვ. ტაბაღუას, დ. ცხონდიას საკარმიდამო ნაკვეთებზე კოხტად ნაგები მარტივი ტიპის საღორეებს, სადაც ქუბებსა და მოზარდებს ასუქებენ. ეს კოლმეურნეობის მიერ სასუქად და სანაშენედ გაცემული ღორებია. მარტივი ტიპის საღორეებიც კოლმეურნეობის მიერ გაცემული საშენი მასალებით არის აგებული. მზრუნველი ხელი ატყვია პირუტყვს. ზოგი უკვე ას კილოგრამს აღწევს და მალე ჩააბარებენ კოლმეურნეობას, ზოგსაც 3 თვის შემდეგ. ასე რომ, წლის ყოველ დროს კოლმეურნეობას ათობით ტონა ღორის ხორცი შეემატება. ამით არც კოლმეურნეობა და არც კოოპერირებაში ჩაბმული მშრომელი არ ზარალობს. პირიქით, ეს უკანასკნელი გარკვეულ სოლიდურ თანხას შემატებს ოჯახის ბიუჯეტს.

სოსო მოსიას მამა ადრე გარდაცვალა. დედამ იკისრა 8 შვილის აღზრდა. როგორ შეემსუბუქებინა მას ეს მძიმე ტვირთი დედისათვის? ამ ფიქრით საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებისთანავე ჯარისკაცის ფარაჯით მიადგა სოსო კოლმეურნეობის კანტორას და მუშაობა მშენებლობათა ბრიგადაში დაიწყო. შრომისმოყვარე ახალგაზრდის თვიურმა გამომუშავებამ 200 მანეთს გადააჭარბა, დაზოგილი თანხიდან კაპიტალური საღორე საკუთარი ხელით ააშენა, კოლმეურნეობიდან 17 სული სხვადასხვა წონის ღორები შეიძინა, თან ხელშეკრულება გააფორმა და კოლმეურნეობაში მუშაობასთან ერთად ღორებს ასუქებდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯ. გუგუჩია ყველას სიამაყით ათვალიერებინებს 23 წლის ახალგაზრდის პირად მეურნეობას. სუფთად მოვლილი და მსუქანი ღორები, როგორც იტყვიან, ავ თვალს არ ენახვება. სოსო წლეულს 2 ტონა ღორის ხორცს მიჰყიდის კოლმეურნეობას. თავის მხრივ კოლმეურნეობაც არ დარჩენილა ვალში მის წინაშე. ფერმის ახლოს 0,3 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გადასცა ღორებისათვის საბალახოდ.

შარშანდელთან შედარებით მიღებულია: 9.200 კილოგრამით მეტი რძე, 14.527 კილოგრამით მეტი ხორცი

კოოპერირების პირველი ნაბიჯები შედეგიანია. დროის ამ არც თუ ისე დიდ მონაკვეთში მოსახლეობა დარწმუნდა კოოპერირების სიკეთეში. გასული წლის 5 თვესთან შედარებით წლეულს 5 თვეში კოლმეურნეობამ კოოპერირებაში ჩაბმული მოსახლეობისაგან შეისყიდა 9.200 კილოგრამით მეტი რძე, 14.527 კილოგრამით მეტი ხორცი, ხოლო აწარმოვა 25.000 კილოგრამით მეტი რძე და 1.700 კილოგრამით მეტი ხორცი.

მოსახლეობასთან კოოპერირება მომავალში უფრო საიმედოა. ამაში მაშინ დავრწმუნდით, როცა დავათვალიერეთ ფერმა, რომელიც მეღორეთა მესამე საწარმოო ბრიგადისთვის შენდება. დღემდე გამოუყენებელი 2 ჰექტარი მიწის ფართობი საგულდაგულოდ დაუმუშავებიათ ერთწლოვანი კულტურების დასათესად ბრიგადის წევრებისათვის მიჩენილი ღორებისათვის, საღორესაც იქვე აშენებენ. ბრიგადის წევრებს კოლმეურნეობა 30 ღორს გადასცემს, რა თქმა უნდა, ადგილზე მოყვანილი საკვები ღორებს გასასუქებლად არ ეყოფა, კოლმეურნეობა მომვლელებს მისცემს აგრეთვე საკმაო ფურაჟს და როცა თითოეული გოჭის წონა 100 კილოგრამს გადააჭარბებს, შემდეგ მას შეისყიდის. ერთი ბრიგადიდან 3 ტონა ღორის ხორცი კარგი საქმეა. კოლმეურნეობის 11-ვე ბრიგადაში წლის ბოლომდე აშენდება კაპიტალური საღორეები, ბრიგადის წევრებს კი გაუპროგრამებენ მოზარდეული გასასუქებლად და ქუბები რეპროდუქციისათვის.

საკარმიდამო ნაკვეთებიდან უხეში მოსავლის (ხილის, ბოსტნეულის, ციტრუსების და სხვ.) მიღებით და სახელმწიფოსათვის მიყიდვით მოსახლეობის დაინტერესების მიზნით კოლმეურნეობამ დაიწესა სამი სახის ფულადი პრემია. პირველი — 300, მეორე — 200 და მესამე — 100 მანეთი. პრემიას შეჯიბრებაში გამარჯვებულ მოსახლეს კოლმეურნეობა აძლევს მატერიალური წახალისების ფონდიდან.

იმის გამო, რომ კოლმეურნეობა მრავალდარგოვანია, კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრებამ აირჩია თავმჯდომარის მოადგილე საზოგადოებრივი მეცხოველეობის ხელმძღვანელობისა და მოსახლეობისაგან ნამეტი პროდუქტების შესყიდვისა და კოოპერირების დარგში, რაც ხელს შეუწყობს საქმის სწორად და ოპერატიულად წარმართვას.

როცა კოლმეურნეობიდან მდიდარი შთაბეჭდილებით დავბრუნდით, ვესაუბრეთ საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივანს ი. თოდუას, თავის მხრივ ი. თოდუამაც ბევრი კარგი გვითხრა კახათელთა საქმიანობაზე, მათს შემართებაზე, დიდ გარჯაზე, მათს მტკიცე გადწყვეტილებაზე, რომ ყველაფერს იღონებენ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების მიზანდასახულობათა განსახორციელებლად, კოლმეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესასრულებლად.

ამ მიზნით კოლმეურნეობა ეყრდნობა მეცნიერების მიღწევებს, იზიარებს აბაშელ თანამოსაქმეთა მდიდარ გამოცდილებას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯ. გუგუჩია იყო აბაშაში, სადაც გაეცნო აბაშელთა ექსპერიმენტს, შემდეგ კი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებთან, ბრიგადირებთან, მოწინავე ადამიანებთან ერთად კვლავ ეწვია რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს კოოპერირების ხერხებისა და მეთოდების გასაცნობად. მან კახათში ამ ახალი ექსპერიმენტის გასაცნობად მოიწვია პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი გ. მგელაძე. მოსახლეობასთან კოოპერირების პირველი შედეგებით გ. მგელაძე კმაყოფილი დარჩა, თან რჩევა-დარიგება მისცა ამხანაგებს.

კახათელთა სასახელო საქმეები, მათი მოუფლელი შრომა დიდად დასაფასებელია.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



ნინო კოტორაშვილი და შალვა შარაშიძე გარდაბნის რაიონში ერთ-ერთი პირველნი ჩაებნენ საზოგადოებრივ მეურნეობებთან კოოპერაციაში. ისინი პირნათლად ასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

სურათებზე: მარცხნივ — კუმისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოსი რ. ოგანეზოვი გოჭების მოვლა-პატრონობის შესახებ კონსულტაციას უწევს კოოპერირებაში ჩაბმულ შ. შარაშიძეს. მარჯვნივ — ნინო კოტორაშვილი თავის ეზოში საკვებს აძლევს გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის წიწილებს.

ვ. გენგიურის ფოტო.

ხორცის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში კარგი დამხმარე საშუალება გახდა ეკონომიკური ურთიერთობის ისეთი ფორმა, რომელიც არის საზოგადოებრივი მეურნეობის კოოპერაცია საქარმიდამოსთან.

ე. ა. შემარდნაძე

კახათის კოლმეურნეობა გუშინ და დღეს

ოდითგანვე მეცხოველეობა გლეხკაცის სარჩო-საბადებელი იყო. კოლხეთის საუკუნოვანი ჭალიც ამ საქმეს ემსახურებოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში ამ სავარგულზე ძირითადად ჩაი, ციტრუსი, ტუნგი, დაფნა და სხვა სამხრეთული კულტურები გაშენდა. ამას ისიც დაემატა, რომ ზოგიერთმა წინდაუხედავმა სოფლის მესვეურმა, გლეხს რომ საძოვრებითა და საკარმიდამო ნაკვეთით არ ესარგებლა და მხოლოდ საზოგადოებრივ მეურნეობაში ემუშავა, ჯერ იყო და, აუთვისებელი მიწები, სათიბ-საძოვრები ღრმად გადახნა, რომლის გამოყენება თვითონაც ვერ შეძლო. კერძო პიროვნებისათვის არც ტყისა და პლანტაციების სანაპიროს იმეტებდნენ. უფრო მეტიც, მოსახლეობას აუკრძალეს თითო-ოროლა ძროხა და ღორი მეტი რომ ჰყოლოდათ.

ყოველივე ამ უმსგავსობამ მშრომელ კაცს სოფელზე გული აუყარა და საზოგადოებრივ შრომას განუდგა, რესპუბლიკის გარეთ სასპეკულაციოდ გაჰქონდა დაფნა, ციტრუსები, ხილი და მას მამასისხლად ჰყიდდა. ვინც სოფლად დარჩა, კოლმეურნეობაში გულაცრუებულად, უგულგულოდ შრომობდა და მისგან მიღებულ მცირე ანაზღაურებას სჯერდებოდა, საკარმიდამო მეცხოველეობაზე ხელი აიღო, ხორცის, რძის, რძის პროდუქტებისა და ფრინველის საყიდლად ქალაქს მიაშურა, პირუტყვი კი გაწყვიტა.

ასე იყო ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათშიც. სამოცდაათიან წლებში ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. გამჯე კაცის შრომა დაფასდა, იმატა სოფლის ხვავმა და ბარაქამ, მეცხოველეობაც აღორძინების გზას დაადგა. მიღწევები ყველა დარგში თვალსაჩინო იყო, მაგრამ კახეთელმა კოლმეურნეებმა განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს მეათე ხუთწლედის გეგმა-დავალებების შესრულების საქმეში, ხოლო ჩაის, აბრეშუმის პარკის, ყურძნის, ბოსტნეულის, რძის, ციტრუსებისა და სიმინდის წარმოებისა და დამზადების დარგში კი 1982 წლის ანგარიშში მუშაობენ.

შრომის სწორი ორგანიზაციის, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გაზრდის შედეგად ხუთწლედის ყოველ წელს იზრდებოდა ეროვნული ეკონომიკისათვის მეცხოველეობის ტოტებიდან მიღებული ფულადი შემოსავალი. 1975 წელს 4 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია იქნა წარმოებული, ხოლო 1980 წელს 5 მილიონ 600 ათასზე მეტ მანეთზე ავიდა. ეს ციფრები ადასტურებენ, ეს ციფრები ადასტურებენ, ეს ციფრები ადასტურებენ,

...ოლონეთის გაერთიანებული მუშათა ...ARTIის ცენტრალურ კომიტეტს

...ირველად ამხანაგებო!
...საბჭოთა კავშირის კომუნისტუ... პარტიის ცენტრალური კომი... მოგმართავთ თქვენ ამ წერი... ვინაიდან უაღრესად აფიქ... პოლონეთში სოციალიზმის ... პოლონეთის როგორც თავი... ალი დამოუკიდებელი სახე... ფოს ბედი.
...ენი მიმართვა ნაკარნახევია ამ... ური დაინტერესებით პოლო... კომუნისტთა პარტიის, მეო... მძმე პოლონელი ხალხის, სო... ლისტური პოლონეთის, რო... ც ვარშავის ხელშეკრულებისა ... ეკონომიკური ურთიერთდახ... ების საბჭოს მონაწილე ქვე... საქმეებში. საბჭოთა და ... ონელი კომუნისტები მხარ... ერ ებრძოდნენ ფაშიზმს, ... ად იყენენ მთელი ომის შემ... ი წლების მანძილზე. ჩვენი ... ია, საბჭოთა ადამიანები ეხ... ებოდნენ თავიანთ პოლონელ ... ნაგებს. შენენებინათ ახალი ... ერება. და ჩვენ არ შეიძლება ... გაფიქრებდეს ის, რომ დღეს ... ონელი ხალხის რევოლუციურ ... პოვრებს სასიკვდილო საფრ... შეექმნა.
...ლახდილად მოგახსენებთ: პო... ეთის სახალხო რესპუბლიკის ... თარებში, მეტადრე მისი ... ნდელი ხელმძღვანელობის ... ოლოგიისა და ეკონომიკური ... ოტიკის დარგში არსებული ... ერთი ტენდენცია უკვე რა... ნიმე წელია ჩვენს შეშფოთე... აწვევდა. საბჭოთა კავშირის ... ონლიტური პარტიისა და პო... ეთის გაერთიანებულ მუშა... პარტიას შორის დამკვიდრებუ... ურთიერთობის სულისკვე... ის შესაბამისად ჩვენ ეს გვი... ამს პოლონეთის ხელმძღვანე... ისათვის უმაღლესი დონის სა... ების დროს და სხვა შეხვედ... ებზე. საშუხაროდ, ეს მეგობ... ი გაფრთხილებები, ისევე ... ორც მწვავე კრიტიკული გა... ლები შიგ პოლონეთის გა... ერთიანებულ მუშათა პარტიაში, ... ველობაში არ მიუღიათ, ის კი ... და, მათ უგულებელყოფდნენ ... ც. და ამის შედეგად პოლ... ეთს მოედო ღრმა კრიზისი, რო... �აც ქვეყნის მთელი პოლიტი... ი და ეკონომიკური ცხოვრება ... ცვა.
...ენ სრული გაგებით შევხვდით ... ონეთის გაერთიანებული მუ... ა პარტიის ხელმძღვანელობის ... ცას, მისწრაფებას — დაგ... ათ სოციალიზმის მშენებლ... ა კანონზომიერებათა დაღრ... ასთან დაკავშირებული უხეში შეცდომები, აღგედგინათ მასების, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასის ნდობა პარტიისადმი, განგემტკიცებინათ სოციალისტური დემოკრატია. ჩვენ კრიზისის პირველი დღეებიდანვე საჭიროდ მიგვაჩნდა, რომ პარტიის საკადრისი პასუხი გაეცა სოციალიზმის მტრებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი შორს მიმავალი მიზნების მისაღწევად ესარგებლათ წამოჭრილი სიძნელეებით. მაგრამ ეს არ მომხდარა. ანტისოციალისტური ძალებისათვის, მათი პრეტენზიებისათვის დაუსრულებელ დათმობებს შედეგად ის მოჰყვა, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია ნაბიჯ-ნაბიჯ იხევდა უკან შინაური კონტრრევოლუციის შემოტევის წინაშე, რომელიც საზღვარგარეთა იმპერიალისტური ძირგამომთხრელი ცენტრების მხარდაჭერას ეყრდნობა.
დღეს ვითარებას მარტოდენ სიშიში არ ეთქმის, მან ქვეყანა კრიზისულ მიჯნასთან მიიყვანა — ეს ერთადერთი სწორი შეფასებაა. სოციალისტური პოლონეთის მტრები მაინცდამაინც არც მალავენ თავიანთ განზრახვას, ისინი ეშვიათ ბრძოლას ძალაუფლებისათვის და უკვე ხელში იგდებენ მას. მათ კონტროლქვეშ ზედიზედ გადადის პოზიციები. კონტრრევოლუცია თავის დამკვრელ ძალად იყენებს „სოლიდარობის“ ელექტრმისტულ ფრთას და მოტყუების გზით ითრევს ამ პროფგაერთიანებაში შესულ მუშებს. დანაშაულებრივ შეთქმულებაში სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ, ძლიერდება ანტიკომუნიზმისა და ანტისაბჭოურობის ტალღა, იმპერიალისტური ძალები სულ უფრო უტიფრად ცდილობენ პოლონეთის საქმეებში ჩარევას.
უაღრესად სერიოზული საშიშრობა, რომელიც შეექმნა სოციალიზმს პოლონეთში, — ეს არის თვით პოლონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის საფრთხეც. უარესი რომ მომხდარიყო და პოლონეთში სოციალიზმის მტრები რომ გახელისუფლებულიყვნენ, პოლონეთს რომ გამოსცლოდა სოციალისტური თანამეგობრობის დაცვის ბურჯი, მას მყისვე წაეპოტინებოდა იმპერიალისტთა ხარბი ხელი. ჰოდა, ვინ უზრუნველყოფდა მაშინ პოლონეთის, როგორც სახელმწიფოს, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, საზღვრების გარანტიას? არავინ.
თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ მოსკოვში 1980 წლის 5 დეკემბერს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მომძე პარტიათა ხელმძღვანელების შეხვედრა გაიმართა. 1981 წლის 4 მარტს საბჭოთა ხელმძღვანელობას მოლაპარაკება ჰქონდა სკკპ XXVI ყრილობაზე წარმოგზავნილ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაციასთან. ამა წლის 23 აპრილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია შეხვდა პოლონეთის ხელმძღვანელობის მთელ შემადგენლობას. ყველა ამ შეხვედრის, აგრეთვე სხვა კონტაქტების დროს ჩვენ მხრივ ხაზგასმით აღინიშნა, რომ სულ უფრო მეტად გვფიქრობს კონტრრევოლუციური ძალების პარპაში პოლონეთში. ჩვენ ვთქვით, რომ უნდა დაძლიოთ დაბნეულობა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის რიგებში, მტკიცედ დაიცვათ მისი კადრები მტრის თავდასხმებისაგან, ერთიანად აღდგეთ სახალხო ხელისუფლების დასაცავად.
განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო იმას, რომ მოწინააღმდეგემ ფაქტობრივად დაუმორჩილა თავის კონტროლს მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რომლებიც უპირატესად ანტისოციალისტური მოქმედების იარაღად გადაიქცა. მათ იყენებენ სოციალიზმისათვის ძირის გამოსათხრელად, პარტიის გასახრწნელად. აღინიშნა, რომ პარტიისათვის ბრძოლის მოგება შეუძლებელია, სანამ პრესა, რადიო და ტელევიზია მუშაობენ არა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, არამედ მისი მტრების სასიკეთოდ.
მწვავედ დაისვა საკითხი ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის ორგანოების ავტორიტეტის განმტკიცების, კონტრრევოლუციის ძალის ხელყოფისაგან მათი დაცვის საჭიროების შესახებ. შეურიგდე იმას, რომ წარმატებით დაგვირგვინდეს უშიშროების ორგანოების, მილიციის, მერე კი არმიის გაბიაბრუებისა და გახრწნის ცდები, — ნიშნავს არსებითად ფარხმალი დააყრევინო სოციალისტურ სახელმწიფოს, საჯიგნად ჩაუგდო იგი ხელში კლასობრივ მტერს.
გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ს. კანიამ, ვ. იარუზელსკი, და სხვა პოლონელი ამხანაგები ყველა აღძრულ საკითხში დაეთანხმნენ ჩვენს მოსაზრებებს. მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი ძველებურად დარჩა, დათმობისა და კომპრომისის პოლიტიკაში არავითარი კორექტივი არ არის შეტანილი. ერთიმეორის მიყოლებით თმობთ პოზიციებს. თუმცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების მასალებში ცნობთ კონტრრევოლუციური საშიშროების ფაქტს, სინამდვილეში დღემდე არ ხორციელდება მასთან ბრძოლის ღონისძიებები, ის კი არადა, კონტრრევოლუციის ორგანიზატორებს უშფოთოდ არც ასახელებთ.
ამ ბოლო დროს განსაკუთრებით დამაფიქრებელი გახდა თვით პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიაში შექმნილი მდგომარეობა. ყრილობამდე თვეზე ცოტა მეტი დარჩა. მაგრამ საარჩევნო კამპანიას სულ უფრო მეტად აძლევენ ტონს სოციალიზმისადმი მტრული ძალები. არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს ის ფაქტი, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგრეთვე კონფერენციებისა და ყრილობის დელეგატები არცთუ იშვიათად ხდებიან შემთხვევითი ადამიანები, რომლებიც აშკარად ქადაგებენ ოპორტუნისტულო შეხედულებებს. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მტრების, რევიზიონისტებისა და ოპორტუნისტების ნაირ-ნაირი მანიპულაციების შედეგად პოსტებიდან გადააყენეს გამოცდილი და პარტიის საქმის ერთგული მუშაკები, უმწიკვლო რეპუტაციის და მორალურად სპეტაკი ადამიანები.
ის გარემოებაც გვაფიქრებს, რომ მომავალი ყრილობის დელეგატთა შორის ძალზე ცოტანი არიან კომუნისტები მუშათა წრიდან. ყრილობისათვის მზადების მიმდინარეობას ართულებს ეგრეთ წოდებული ჰორიზონტალური სტრუქტურების მოძრაობა — პარტიის გათიშვის იარაღი, რომელსაც ოპორტუნისტები იყენებენ, რათა ყრილობაზე საჭირო ხალხი შეგზავნონ და ყრილობის მუშაობის მიმდინარეობა სასურველ კალაპოტში გადაადგონ. ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ თვით ყრილობაზე შეიძლება შეეცადონ საბოლოოდ დაამარცხონ პარტიის მარქსისტულ-ლენინური ძალები, რათა მიაღწიონ მის ლიკვიდაციას.
საგანგებოდ გვინდა ვთქვათ, რომ უკანასკნელ თვეებში კონტრრევოლუციის ძალები აქტიურად ავრცელებენ ათასგვარ ანტისაბჭოურ მონაჩმახს, რათა წყალში ჩაუყარონ ნაღვაწი ჩვენს პარტიებს, კვლავ ააღორძინონ ნაციონალისტური, ანტისაბჭოური განწყობილებანი პოლონეთის საზოგადოების სხვადასხვა ფენაში. ეს ცილისწმენებლები და გაიძვერები ყველაფერს კადრულობენ, იმასაც კი ირწმუნებიან, თითქოს საბჭოთა კავშირი „ძარცვავდეს“ პოლონეთს. და ყოველივე ამას ამბობენ მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირი უწევდა და უწევს უდიდეს დამატებითს მატერიალურ დახმარებას პოლონეთს მისთვის ამ ძნელბედობის ჟამს. ამას ამბობენ ქვეყანაზე, რომელიც თავისი ნავთობის, გაზის, მადნის, ბამბის მიწოდებით, თანაც მსოფლიო მაზანდაზე 1,5-2-ჯერ უფრო ნაკლებ ფასად, ფაქტობრივად ასაზრდოებს პოლონეთის ინდუსტრიის ძირითად დარგებს.
პატივცემულო ამხანაგებო! მოგმართავთ რა ამ წერილით, ჩვენ მარტოოდენ მომძე პოლონეთში შექმნილი მდგომარეობის, საბჭოთა კავშირ-პოლონეთის შემდგომი თანამშრომლობის პირობებისა და პერსპექტივების გამო დაფუძნებული შეშფოთება როდი გვალაპარაკებს. ჩვენ, ისევე როგორც სხვა მომძე პარტიებს. არანაკლებ გვაფიქრებს ის, რომ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მტრული ანტისოციალისტური ძალების შემოტევა საფრთხეს უქადის მთელი ჩვენი თანამეგობრობის ინტერესებს, მის შეკავშირებას, მთლიანობას, საზღვრების უშიშროებას. დიახ, ჩვენს საერთო უშიშროებას. იმპერიალისტური რეაქცია, რომელიც მხარს უჭერს და აგულიანებს პოლონეთის კონტრრევოლუციას, არც მალავს, რომ იმედი აქვს ამ გზით მკვეთრად შეცვალოს თავის სასარგებლოდ ევროპასა და მთელ მსოფლიოში შექმნილი ძალების თანაფარდობა.
პოლონეთის კრიზისს აქტიურად იყენებს იმპერიალიზმი სოციალისტური წყობილების, სოციალიზმის იდეალებისა და პრინციპების სათითზავად, იყენებს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობების წინააღმდეგ მიმართული ახალი იერიშებისათვის.
ამრიგად, პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას მარტოოდენ თავისი სამშობლოს, მისი დამოუკიდებლობისა და პროგრესის, პოლონეთში სოციალიზმის ბედისათვის როდი ეკისრება ისტორიული პასუხისმგებლობა. თქვენ, ამხანაგებო, გაწევთ აგრეთვე უდიდესი პასუხისმგებლობა სოციალისტური თანამეგობრობის საერთო ინტერესებისათვის.
ჩვენი აზრით, ჯერ კიდევ გაქვთ შესაძლებლობა არ დაუშვათ უარესი, თავიდან აიცილოთ ეროვნული კატასტროფა. პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიაში ბევრია პატიოსანი და მტკიცე კომუნისტი, რომლებიც მზად არიან ნამდვილად იბრძოლონ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალებისათვის, დამოუკიდებელი პოლონეთისათვის. პოლონეთში მრავლად არიან სოციალიზმის საქმის ერთგული. ადამიანები. მუშათა კლასი, ქვეყნის მშრომელები, მათგან ისინიც კი, ვინც მოტყუების გზით ჩაითრიეს თავიანთ მაქინაციებში მტრებმა, საბოლოო ანგარიშით მაინც პარტიას გაჰყვებიან.
ახლა მთავარია, დარაზმოთ საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალები კლასობრივი მოწინააღმდეგის უკუსაგდებად, კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად. ეს კი მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, თვით პარტიის, მისი აქტივისა და ხელმძღვანელობის რევოლუციურ სიმტკიცეს. დიახ — ხელმძღვანელობისას. დრო არ ითმენს. პარტიას შეუძლია გამონახოს და უნდა გამონახოს კიდეც საკუთარ თავში ძალები, რათა გარდატეხოს მოვლენათა მიმდინარეობა, ჯერ კიდევ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX ყრილობამდე წარმართოს იგი საჭირო კალაპოტით.
გვინდა ვირწმუნოთ, რომ მომძე პოლონეთის კომუნისტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავისი ისტორიული პასუხისმგებლობის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდება!
აღგითქვამთ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ამ ძნელბედობის ჟამს, ისევე როგორც ყოველთვის წინათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ყველა საბჭოთა კომუნისტი, მთელი საბჭოთა ხალხი სოლიდარობენ თქვენს ბრძოლას. ჩვენი პოზიცია მკაფიოდ გამოიხატა გაწყობდებში, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა რომ გააკეთა სკკპ XXVI ყრილობაზე: „სოციალისტურ პოლონეთს, მომძე პოლონეთს გაჭირვებაში არ მივატოვებთ და არავის დავაჩაგვრინებთ!“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ვ. ი. მელქაძე

ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა დაუცხრომელი კომუნისტი მეცნიერი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სკკპ წევრი 1941 წლიდან, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან ირაკლის ძე მელქაძე.
ვ. ი. მელქაძე დაიბადა 1912 წელს საქართველოს სსრ სამტრედიის რაიონის სოფელ ჩხენეშში გლეხის ოჯახში. 1931 წელს დაამთავრა სამტრედიის პედაგოგიური ტექნიკუმი და 1932 წელს შვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი განაგრძობს სწავლას მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. აქვე 1941 წელს იგი იცავს დისერტაციას ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ახალგაზრდა მეცნიერი დგება სამშობლოს დამცველთა რიგებში. მან თითქმის მთელი ომი ფრონტზე გაატარა, მონაწილეობდა ბრძოლებში. ომის შემდეგ ვ. ი. მელქაძე უბრუნდება სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.
1948 — 1960 წლებში ვ. ი. მელქაძე ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზეა: იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პარტიული სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, ხოლო 1962 წლიდან — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კოლეგიის წევრი.
1960 წლიდან ვ. ი. მელქაძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანად, ხოლო 1963 წლიდან საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების დღიდან სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა მას. მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტი გაწდა ეკონომიკური პრობლემების კვლევის, საქართველოს სახალხო მეურნეობას განვითარების გრძელვადიანი პროგნოზირებისა და დაგეგმვის ცენტრი. ეს პერიოდი მეცნიერული თვალსაზრისით ყველაზე ნაყოფიერია მეცნიერის შემოქმედების ბიოგრაფიაში. ამ წლებზე მოდის დიდი ნაწილი მის მიერ გამოქვეყნებული 140 მეცნიერული ნაშრომისა, რომლებმაც მას თვალსაჩინო მეცნიერი ეკონომისტის სახელი მოუხვეჭეს.
ამ ნაშრომებმა, რომლებიც მიეძღვნა რესპუბლიკის ინდუსტრიული და საერთო-ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლების, მისი ეკონომიკური პოტენციალის გადიდების საკითხებს, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპუბლიკაში თეორიული და პრაქტიკული ხასიათის ეკონომიკური კვლევის ფართო განვითარებაში.
ვ. ი. მელქაძე იყო უაღრესად მრავალმხრივი მეცნიერი ეკონომისტი. იგი ერთნაირი წარმატებით იკვლევდა როგორც პოლიტიკური ეკონომიის აქტუალურ თეორიულ საკითხებს, ისე კონკრეტული ეკონომიკის მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ პრობლემებსაც, ცდილობდა ეკონომიკის მეცნიერების მიღწევები დაეკავშირებინა ხახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის პრაქტიკასთან.
უკანასკნელ ხანს ვ. ი. მელქაძე მთელ ძალ-ღონეს და ენერგიას ამბარდა საზოგადოებრივი წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის პრობლემათა დამუშავებას. რეგიონალური დაგეგმვისა და მართვის დარგში თავისი ნაშრომებით მან ქვეყანაში ეკონომიკური მეცნიერების ამ დიდმნიშვნელოვანი მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებლის სახელი დაიმსახურა. როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი აზრის საბჭოს თავმჯდომარეობდა, მან დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ საქმის განვითარებასა და სრულყოფაში.
80 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვ. ი. მელქაძე წარმატებით უძღვებოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, კითხულობდა პოლიტიკური ეკონომიისა და სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის კურსს, წარმგზავნიდა ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებასა და აღზრდას. იგი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობას. ჯერ იყო სკკპ XIX ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ყრილობების დელეგატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.
კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს ვ. ი. მელქაძის საბრძოლო დამსახურება, მეცნიერული და საზოგადოებრივი ღვაწლი. დაჯილდოებული იყო ექვსი საბრძოლო და შრომითი ორდენით და მედლებით.
ვალერიან ირაკლის ძე მელქაძე განასახიერებდა ახალი ტიპის მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, რომლის პიროვნებაში შერწყმული იყო მეცნიერული კვლევის ნიჭიერი ალღოიანი ორგანიზატორისა და უნარიანი ხელმძღვანელის თვისებები, მარჯვედ იყენებდა ეკონომიკური თეორიის მიღწევებს სამეურნეო მშენებლობის საჭირბოროტო ამოცანათა გადაწყვეტისათვის. მთელი მისი ცხოვრება და საქმიანობა პარტიის იდეალებისა და ხალხის ინტერესებისადმი უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითია. პრინციპულობა და მაღალი პასუხისმგებლობა, მეზნებარება და საოცარი თავდადება მუშაობაში, მოვალეობის დიდი გრძნობა და სამშობლოს მხურვალე სიყვარული, კეთილგანწყობილება და გულისხმიერება ადამიანებისადმი, მათი შრომისადმი ღრმა პატივისცემა — ასეთად დარჩება ქართველი საზოგადოებრიობის ხსოვნაში ვალერიან ირაკლის ძე მელქაძის — მამულიშვილის, კომუნისტი მეცნიერის ნათელი სახე.

ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლგინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჰითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, შ. ს. სანაკოევი, ე. კ. ხარაძე, დ. ლ. ქართველიშვილი, ე. ა. სეხნიაშვილი, ლ. ი. ხაბურზანია, ქ. კ. შარტავა, ა. ს. ფრანგიშვილი, ა. მ. აფაქიძე, ი. გ. გვერდწითელი, ა. ლ. გუნია, ი. ს. მიქელაძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ი. ო. ანდრიაძე, ი. ს. ქორდანია, კ. ნ. ჩარკვიანი, ო. ი. ეჯიბაძე.

საქართველოს კომპარტიის ...ალის რაიკომის პლენუმი

...ალი. („კომუნისტის“ საკ...). გაიმართა საქართველოს ...პარტიის გალის რაიკომის ...ენუმი, რომელმაც განიხილა ...ანიზაციული საკითხი.
...ენუმმა სხვა სამუშაოზე გა... ელის გამო პარტიის გალის რა... ის პირველი მდივნისა და ... ოს წევრის მოვალეობისაგან ... ავისუფლა ლ. ი. ხაბურზანია.
...ტიის გალის რაიკომის პირ... მდივნად პლენუმმა აირჩია ... შარანგია.
...ენუმის მუშაობაში მონაწილ... და და სიტყვა წარმოთქვა სა... ველოს კომპარტიის ცენტრა... ი კომიტეტის ბიუროს წევრო... კანდიდატმა, პარტიის აფხა... ის საოლქო კომიტეტის პირ... მა მდივანმა ბ. ვ. ადლეიბამ.

●

...ვინ სტუმარია საფრანგეთის ელჩი

...ი 18 ივნისს იმასთან დაკავში... ით, რომ იხსნებოდა ფრანგ იმ... ონისტ მხატვართა ნაწარ... ების გამოფენა, თბილისში ... ოვდა საფრანგეთის საგანგე... და სრულუფლებიანი ელჩი ... კავშირში ანრი ფრომან-მე... ი. მას ახლავს საფრანგეთის ... ჩოს ატაშე კულტურის და... ი ალოდ კოუაი.
...ატიო სტუმარი მიიღო საქა... ველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ... ედმომარის მოადგილემ ო. ე. ... ეზიამ. საუბრის დროს, რო... ც გულთბილ, მეგობრულ ... ფერში ჩაიარა, ელჩი დი... ინტერესით გაეცნო საქართ... ში სოციალისტური მშენებ... ის წარმატებებს, სოციალუ... საკითხების გადაწყვეტას, ეკ... ტიკული და სასურსათო რე... სების პრობლემებს, დაინტე... და იმით, თუ რა ადგილი უკ... ჩვენს რესპუბლიკას ქვეყნის ... ეკონომიკურ კომპლექს... განსაკუთრებული ყურადღე... დაეთმო ...ულტურის, სახალ... განათლების, ჯანმრთელობის ... ის განვითარების საკითხებს.
...უბარში მონაწილეობდნენ სა... ველოს სსრ კულტურის მი... ის პირველი მოადგილე ი. ... ბაძეკელი, რესპუბლიკის სა... ო საქმეთა სამინისტროს სა... ი, გაწყოფილების გამგე ნ. ბ. ... ანე.
...ტონი ფრომან-მერისი დღის ... ველობაში ეცნობოდა თბილ... ი და მისი შემოგარენის ღირ... სშენაობებს. იგი დაესწრო ... ბ მხატვართა ნამუშევრების ... ედან „მატისამდე“ გამოფენის ... ას.
...ართველოს სსრ მინისტრთა ... ს თავმჯდომარის მოადგი... ი ო. ე. ჩერქეზიამ სადილი გა... თა საფრანგეთის საგანგებო ... ულუფლებიან ელჩს სსრ ... ში ანრი ფრომან-მერისს.
...ბის სტუმარი მოსკოვს გა... ფრა. (საქინფორმი).

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

პლენუმი ვარშავაში

ვარშავა. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, აქ მუშაობა დაამთავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-11 პლენუმმა.

პლენუმმა განიხილა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოხსენება „ქვეყნის აქტუალური მდგომარეობა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის IX საგანგებო ყრილობისათვის მზადების საკითხები“, რომელიც გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. კანიამ.
კამათის დროს გაიმართა პარტიასა და ქვეყანაში შექმნილი კრიზისის დაძლევის გზებთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვა.

ჰ. ასადის ინტერვიუ

დამასკო. ვაშინგტონი ტელევიზს ყოველმხრივ და მუდმივად რომ არ ეხმარებოდეს, ისრაელი ვერ განაგრძობდა დაპყრობილი არაბული ტერიტორიების ოკუპაციას, ებუჩად ვერ აიგდებდა არაბ ერს, ვერ ჩაიდენდა აგრესიის აქტებს ლიბანისა და ამ ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნების არაბული სახელმწიფოების ძალების წინააღმდეგ, განაცხადა სირიის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა.
დასავლეთ გერმანიის ჟურნალ „შტერნისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც სირიის პრესამ გამოაქვეყნა, ჰ. ასადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის სამხედრო მიწოდებანი ისრაელისადმი გაიზარდა მას შემდეგ, რაც დაიდო ეგრეთ წოდებული „საზავო“ ხელშეკრულება ტელ-ავივსა და კაიროს შორის. ეს, რა თქმა უნდა, აქეზებს ისრაელს განაგრძოს აგრესიის ესკალაცია არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ, თქვა მან. როცა უპასუხა იმ კონტაქტების შინაარსის შესახებ, რომლებიც სირიის მხარეს ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურ დესპანთან ფ. ჰაბიბთან, ჰ. ასადმა თქვა: ამერიკის ემისარს არ წამოუყენებია არავითარი კონსტრუქციული წინადადება, რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტური სიტუაციის მოწესრიგება. მან მხოლოდ გადმოგვცა ისრაელის მოხოვნები, რომლებსაც ისედაც კარგად ვიცნობთ ბეგინის კაბინეტის წარმომადგენელთა საჯარო განცხადებების წყალობით.
მკვახედ გააკრიტიკა რა ლიბანში ისრაელის პროვოკაციული მოქმედება, სირიის პრეზიდენტმა აღნიშნა: ამ ქვეყნის საქმეებში ისრაელის ჩარევის გაძლიერება მოწმობს, რომ ტელ-ავივი ემზადება განახორციელოს თავისი ექსპანსიონისტური გეგმების ახალი ეტაპი საკუთარი „უშიშროების“ უზრუნველყოფის საბაბით. ისრაელის ეს „უშიშროების თეორია“, თქვა შემდეგ ჰ. ასადმა, ეწინააღმდეგება ყველა სამართლებრივ ნორმას, რომლებიც კი თანამედროვე საზოგადოებისათვის არის ცნობილი. ტელ-ავივს სურს „მეზობელ სახელმწიფოებს უკარნახოს, თუ „რის ნება აქვთ“ და „რა ეკრძალებათ“. ლიბანში განლაგებული სირიის საჰაერო თავდაცვის საშუალებათა შესახებ საკითხში ისრაელი იმით ხელმძღვანელობს, რომ თითქოს მას თავისუფალი მოქმედების საშუალება უნდა ჰქონდეს მთელ ახლო აღმოსავლეთში, და რომ ყოველი საშუალება, რომელიც კი მის აგრესიულ ზრახვებს ხელს შეუშლის, ისრაელისადმი „მუქარას“ წარმოადგენს.
სინამდვილეში, ხაზგასმით აღნიშნა ჰ. ასადმა, სირიის დედამიწა-ჰაერის „თავდაცვითი რაკეტები კი არ ემუქრებიან ისრაელს, არამედ, პირიქით, საფრთხეს ქმნის ისრაელის ავიაციის რეიდები, რომელსაც სურს თავისუფლად იპარავდეს არაბული ქვეყნების საჰაერო სივრცეში და სიკვდილსა და ნგრევას თესავს არაბებს შორის.
როცა საბჭოთა კავშირთან სირიის ურთიერთობას შეეხო, ჰ. ასადმა იგი მეგობრობის ურთიერთობად დაახასიათა. საბჭოთა კავშირი მუდამ მხარს უჭერდა არაბებს ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში.

● ვაშინგტონი აქეზებს ისრაელს ● რას ნიშნავს ისრაელის „უშიშროების თეორია“ ● არაბი ხალხის ბრძოლა სამართლიანია

● საბერძნეთი

იძულებითი აღიარება

ათენი. საბერძნეთის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა ე. ავეროფ ტოსიცასმა აღიარა, რომ გადამდგარ ამბიელ ოფიცერთა ჯგუფი გეგმავდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლას ქვეყანაში დემოკრატიის ლიკვიდაციის მიზნით.
უპასუხა რა პარლამენტში დემოკრატიული ცენტრის კავშირის პარტიის დეპუტატის კ. ბანტუვას შეკითხვაზე, მინისტრი იძულებული იყო სავსებით გარკვევით განეცხადებინა, რომ ერთი კვირის წინათ გამეღავნებული ცნობები გადატრიალების ცდის შესახებ შეეფერება სინამდვილეს.
როგორც საბერძნეთის დედაქალაქში პოლიტიკური მიმომხილველნი აღნიშნავენ, მინისტრმა განცხადება გააკეთა მხოლოდ მას მემდეგ, რაც ოპოზიციამ მესამედ სცადა მიეღო მთავრობისაგან გარკვეული პასუხი იმის შესახებ, იყო თუ არა სამხედროების გამოსვლის ცდა. პირველი შეკითხვა პარლამენტში შეიტანა კ. ბანტუვასმა, მაგრამ როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა კ. მიცოტაკისმა, ისე თავდაცვის მინისტრმა უარყვეს ცნობა სამხედროების სეროზული გამოსვლის შესახებ, თუმცა მაინც დატოვეს ადგილი ვარაუდისათვის, რომ ძირგამომთხრელ მოქმედებაში შეიძლება გარეული ყოფილიყვნენ „გადამდგარი ოფიცრები, რომლებიც პოლკოვნიკების რეჟიმს მისტირიან“.
საბერძნეთის დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა, მათ შორის სრულიად საბერძნეთის სოციალისტურმა მოძრაობამ, მოითხოვეს გულდასმით გამოიძიონ ცნობები გადატრიალების ცდის შესახებ.

● ირანი

ხომეინის ბრძანებულება

**თეირ

გასაოცარი პედაგოგი

მრავალი შეხვედრიდან, ჩვენი ჟურნალის რედაქციას რომ ჰქონია მკითხველებთან, ორი განსაკუთრებით ცხადად ჩამრჩა მეხსიერებაში. დარწმუნებული ვარ, ასეთივე აზრისაა თელავური და დუშური საღამოების ბევრი დამსწრე. იყო გულახდილი, საქმიანი საუბარი, იყო პოლემიკა და აზრთა გაზიარება, შესაძლოა, ზოგიერთს უკმარობის გრძნობაც ვაუზნდა, რაღაც არ მოეწონა, რაღაცას არ დაეთანხმა, მაგრამ, მერწმუნეთ, გულგრილი არავინ დარჩენილა. სხვანირად ალბათ ვერც იქნებოდა. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატება „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ თავისებურ ანგარიშს აბარებდა მასწავლებლობას და ფართო საზოგადოებრობას. კაცს რომ თავისი მშობლიური ენა უყვარდეს და აღმერთებდეს, ეს ბუნებრივიზე ბუნებრივი გრძნობაა. მაგრამ იმ საღამოებმა ისიც დაგვანახვა, როგორ უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ენის შემდგომი განვითარების, მისი ნორმების დაცვის, თანამედროვე ქართულის სრულყოფილად სწავლების თვალსაზრისით. თავად შეხვედრის მონაწილეების, თელაველი და დუშელი მასწავლებლების მეტყველება უაღრესად დახვეწილი, გამართული და ლაღი ქართულის თავისებურ ნიმუშად მესახება. სწორედ ასეთ პედაგოგებს ხელეწიფებათ ქართული ენისა და ლიტერატურის უნაკლო სწავლების რთული მაგულშემოვლური საქმის აღსრულება. თბილისისკენ მობრუნებული, ჭაბუკ ვფიქრობდი: ჩვენი ქართული, ჩვენი საყვარელი ენა არაოსდეს დაკარგავს ელვარებას, არაოსდეს მოიდება ანაგი, როცა პატარა ქართველს, ჩვენგა საამაყოდ და გასახარად, ასეთი ტაბლიმოუბარი, ენამშვიანი საუბარი და ენონერი მასწავლებლები ჰყავს-მეთქი.

მაგრამ ჩვენი მასწავლებლობა, და ეს მკაფიოდ გამოიკვეთა შეხვედრებზე, ჯერ კიდევ ვალშია შშობლიური ენის უკით სწავლების თვალსაზრისით.

იმ საღამოებმა ხელახლა მიმბარეს ენის წიგნის თაროსაკენ, სადაც ენობილი პედაგოგების თხზულებათა გამოცემები ძევს. იმისათვის, რომ უკით შეიგნო, გაითავისო ეძვირფასესი, უფმინდესი რელიკვიები, საკუთარი მეხსიერებისადმი ერიტიკული ენდა იყო და რაც შეიძლება ხშირად მიუბრუნდე საკითხავად წინაპრთა მემკვიდრეობას, ეს მემკვიდრეობა ათეული წლეთის ცხავშია გამოტარებული და დღესაც შეუნელებელი ინტერესით იკითხება...

დიახ, ჭეშმარიტად დიდია და ყოვლისმომცველი დედაენის მადლი. არასოდეს გაუვა ყავლი იაკობ გოგებაშვილის ამ სიტყვებს: „დედა-ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რეზული, რომელშია: დაკოლია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელს ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და აკავებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“. ეს დასკვნა გამოიტანა ბრძენმა პედაგოგმა და მამულიშვილმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, დედაენის უკვდავ სახელმძღვანელოზე ჭეშმარიტად ტიტანური მუშაობის წლებიდან, მთელი თავისი არსებობიდან და შემეცნებიდან. ეს არის თავისებური ჯამი დიდი მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

ალბათ, ცოტას თუ გამოუხატავს დედაენის დანაშნულება და აგდილი ერის ცხოვრებაში, მოზარდი თაობის განსწავლისა და აღზრდის დარგში ისე ღრმად და ხატოვნად, როგორც ეს რუსული პედაგოგიკის მამამთავარმა კონსტანტინე უშინსკიმ შეძლო. იგი დედაენას „გასაოცარ პედაგოგს“ უწოდებდა. თავის წერილში „ბურჯი ეროვნებისა“ ი. გოგებაშვილს სადანებად მოჰყავს უშინსკის სიტყვები: „დედა-ენის კამკამა სიღრმეში იხატება არა მარტო ბუნება სამშობლო ქვეყნისა, არამედ მთელი ისტორია ერის სულიერის ცხოვრებისაკ; თაობანი ერთი მეორის შემდეგ ჰქრებიან, მაგრამ ნაყოფნი მათის მოქმედებისა რჩებიან ენაში ჩამომავლობის საკუთრებად“.

და მართლაც, ენა ბალავრად უდგას ერის უკვდავებას, მის კაშკულსტყვაობას, მეცნიერებას, ხელოვნებას, ნებისმიერ დარგს, რომელიც საზოგადოებრივ ეროვნულ ინსტიტუტებში ვითარდება. იგი უმტკიცესი და უმოკლესი ხიდია, რომელიც ადამიანს აკავშირებს, ამეგობრებს, ამოყვარებს სხვა ერებთან, სხვა ენებთან, საერთოდ, გარემომცველ სამყაროსთან. ჭეშმარიტად საბრალობელია კაცი, რომელიც თავის შობლიურ ენას სრულყოფილად ვერ ფლობს, რამეთუ, ისევ უშინსკის ბრძნულ შეგონებას დავესესხოთ, „... თუ ის ენა, რომელზეც იწყობს ლაპარაკს ბავშვი, იწინააღმდეგება მის თანდაყოლილ ეროვნულ ხასიათს, მაშინ ეს ენა ვერასდროს ვერ მოახდენს ისეთ ძლიერ გავლენას მის სულიერ განვითარებაზე, როგორსაც მოახდენდა მისი შობლიური ენა“.

ხალხს სანუკვარი ფიქრისა და მისწრაფების უკით გადმოცემა შეუძლია ენა. შობლიურ ენას ემყნობა, ხარობს და ვითარდება ყოველივე საუკეთესო, რაც ერს მოეძევება.

მაგრამ უდიდესი შეცდომა იქნებოდა, ადამიანმა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შობლიური ენის ცოდნით შემოფარგლულიყო. ეს ერთნაირად საზიანო აღმოჩნდებოდა როგორც მისი ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების, მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვართა გაცნობისათვის, ისე სხვა ერებთან და ხალხებთან კონტაქტების თვალსაზრისით. ვინ არ იცის, მაგალითად, რას ნიშნავს რუსული ენის სრულყოფილი ცოდნა ქართველი კაცისათვის, რომელიც მისი საშუალებით ავეშრის ამყარებს არსებითად მთელ გარემომცველ სამყაროსთან. ეს საუკეთოდ უწყოდნენ ჩვენმა დიდმა წინაპრებმა — ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, აკაკი წერეთელმა და სხვებმა, რომლებიც ნიადაგ მოუფოდიდნენ და შთაადონებდნენ ქართველებს რუსული ენის დაუფლების აუცილებლობას.

ეუმთავრესი და უპირველესი დანაშნულება ენისა, როგორც პედაგოგიკის კლასიკოსები განმარტავენ, კაკვშირის გაბმა-დამყარება ერის სულთან ადამიანთა შორის. ეს სულიერი კავშირი საყრმის ასაკიდან იწყება. როგორც უშინსკი ამბობდა, „ყმაწვილის სულიერი განვითარებისათვის სრულიადაც არ არის სულერთი, თუ (წოდებითში — ბებო!) უნდა მიეცეთ უპირატესობა.

პროფესორი ბ. წოწონავა და შ. კურტანიძე (ხაშური) წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ასე მოიკიდა ფეხი ქართულში მამის სახელით მომართვამ. ამაზე ბევრი დაწერილა და თქმულა, ამ რამდენიმე წლის წინათ მწერალთა კავშირში საგანგებო სხდომაც კი მიეძღვნა ამ საკითხს. უმჯობესობამ დაგმო ასეთი მიმართვა, უმცირესობამ „შესაწყნარებლად მიიჩნია მისი ხმარება მხოლოდ რუსული მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას, როცა საჭიროა კოლორიტის შენარჩუნება. ისე რომ, საკითხი გადაწყვეტილია. დანარჩენი უკვე თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული.

გეგეჭკორელი დ. ჯანაშია, თბილისელები გ. ფირაშვილი, დამსახურებული მასწავლებელი დ. ბაქრაძე, სიღნაღელი ინეინერი ჯ. ბეჟანშვილი, ბორჯომელი გ. დათუნაშვილი და ორკონიკიძელი მ. ლაცაბიძე წუხან, რომ ქართული ენა გამოდევნილია ფოსტა-ტელეგრაფიდან, რომ ვერა და ვერ მოგვარდა ქართული სადეპეშე შრიფტის საქმე, რომ არ გამოდის ქართული შრიფტით აღჭურვილი საბეჭდი მანქანები, რომ წარმოებადაწესებულებებში, მაღაზიებში მეტად გავრცელდა წარწერები, რომლებიც საუსეა ბარბარიზმებით, რომ ამავე ბარბარიზმებსა და ჟარგონს უხვად ვხვდებით კერძო საუბარში.

ეს ძალზე საჭირბოროტო საკითხებია. იქნებ ქალაქის აღმასკომთან შექმნილიყო რიმე ქვეგანყოფილება, რომლის ნებართვის გარეშე არავის ენენება წარწერის გამოკვრის უფლება? რაც შეეხება კერძო საუბარს, აქ რას გახდები? ერთადერთი საშუალება ის არის, რომ ბარბარიზმებით და ჟარგონით მოლაპარაკეზე ვიტყვით, როგორც გეგეჭკორელი მწყემსი უწოდებს, უკულტურო კაციათ.

პროფესორი გ. რატიშვილი და ვ. ჯაფარიძე საესებით მართებულად წერენ, რომ ძალზე გავრცელდა გამოთქმა „ათი წლის უკან“, ნაცვლად „წინათ“. ვფიქრობთ, ბეჭდას არ საჭიროებს.

ჩვენი მკითხველი გ. კაპანაძე და მრავალი სხვანი ძალზე მკაცრად და სამართლიანად აკრიტიკებენ ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის ენას. ვეთანხმებით. მაგრამ ერთია ავ-კარგის გარჩევა, და სხვაა კარგად გაკეთება. უფნარეს ყოვლისა საჭიროა მომზადებული კადრები.

პარადოქსული ვითარება შეიქმნა. ერთი მხრივ, ქართული სალიტერატურო ენა და გრამატიკა, ბუნებრივია, არასოდეს არ ყოფილა ისე დამუშავებული და შესწავლილი, როგორც ახლა. წმინდა მეცნიერული შრომების გარდა, გამოდის პოპულარული, ყველასათვის მისაწვდომი კრებულები „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, ბროშურები, გვაქვს ორთოგრაფიული ლექსიკონი, დარგობრივი ტერმინოლოგიები, უცხო სიტყვათა, სინონიმების, განმარტებითი და თარგმნითი ლექსიკონები.

მეორე მხრივ, საჟურნალგაზეთო თუ რადიო-სატელევიზიო ჟურნალისტიკაში მოღვაწეობს მწერალ-მთარგმნელთა მთელი არმია (სხვაგვარად ვერც იქნება), რომელიც ბაიბურში არ არის ზემოხსენებულ ლიტერატურაზე. თუ მხატვრულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, კალმოსან კაცს, მაინცდამაინც, ვერ მოედავები (რა ქნას, ეს ნიჭზეა დამოკიდებული), ენობრივი თვალსაზრისით უფლება გვაქვს პრეტენზია წავუყენოთ: სწორად წერა აუცილებელია! ამის სწავლა შეიძლება და მოვალენიც არიან ისწავლონ!

ყოველი კაცი, რომელიც ხელში იღებს კალამს, თვალს უნდა ადევნებდეს სპეციალურ გამოცემებს. სამწუხაროდ, თაროებზე თვლემს ოფლითა და რუდუნებით მოპოვებული მთელი ეს ცოდნა. ფეხი მოიკიდა თვითმოქმედებამ. ხშირად გაიგონებთ: „მეცნიერებმა რა იციან?“, „ეგენი გრამატიკის მონები არიან“, „მაგათ ორთოგრაფიას არ ვეთანხმები“ და სხვა. სასაცილო იქნებოდა ყოველივე ეს, ესოდენ მწარე ნაყოფს რომ არ ვიმეკიდეთ! რუსეთის ნებისმიერ გამომცემლობაში თუ ჟურნალ-გაზეთში რომ მიიტანოთ დასაბეჭდად რაიმე, საკმარისია თავის ადგილას არ იყოს მოკლე „ი“ თუ მაგარი „ი“, გეტყვიან, ჯერ წერაკითხვა ისწავლე, მერე წიგნები წერეო. სწორედ ეს არის ერთერთი მიზეზი იმისა, რომ ასეთი მაღალი წერის კულტურა აქვთ. ეს ჩვენთვის მისაბაძი ნიმუში უნდა იყოს!

და ბოლოს, ძალზე ვწუხვართ, რომ ვერ ვბეჭდავთ ისტორიკოს მ. ჩორგულაშვილის წერილს, არსებითად რეცენზიას, რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ დასტამბულ წერილს ეხება.

ავტორი, სრულიად საფუძვლიანად, აღშფოთებულია უცხო სიტყვების კორიანტელით, რომელიც ჟურნალის ფურცლებზე დაუყენებია ხელოვნებათმცოდნეს. არ შეიძლება არ გაიზიარო მისი აზრი. დიდი ხანია ცნობილია, რომ უცხო სიტყვების სიუხვე ცრუმეცნიერების ერთ-ერთი პირველი ნიშანია, უაზრობის ნიღაბია. ამის დასტურად მრავალი ავტორიტეტის ციტატა შეგვეძლო მოგვეყვანა, მაგრამ, ვფიქრობთ, დამტკიცებულს დამტკიცება აღარ სჭირდება.

ბევრს გვწერენ აგრეთვე ქართულ ლექსიკაში დამკვიდრებული უცხო წარმოშობის სიტყვების წარმოებაზე. მაგალითად, სოლიდარობა — სოლიდარობს, ნოკაუტი—დაანოკაუტა და სხვ.

ამ საკითხზე საგანგებო წერილს დაგვპირდა ქართული ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის წევრი ივანე გიგინეიშვილი, მანამდე კი როგორმე ძველებურად იოლას ვგვიდეთ.

მ. გაბუნია გვთავაზობს რუსული „პუდრას“ ნაცვლად ვიხმაროთ „ფქერი“. პუდრი ფრანგულია, საყოველთაოდ დამკვიდრებული, და, ალბათ, ძალიანაც რომ ვეცადოთ, ველარ აღმოვფხვრით. იყოს, შევიკედლოთ.

დედაო ენავ!..

მკითხველს მოეხსენება, რომ ორიოდე თვის წინათ ჩვენს გაზეთში შეიქმნა რუბრიკა „დედაო ენავ“. მის წინათქმაში მკითხველებს ვთხოვდით მონაწილეობა მიეღოთ ამ საზოგადო საქმეში. მოლოდინი არ გაგვიცრუვდა: მოკლე ხანში უხვად მივიღეთ წერილები, სტატიები, ორიოდე სიტყვით გამოთქმული მოსაზრებანი ენის სხვადასხვა საკითხზე. გვწერენ მწყემსები და პროფესორები, პენსიონერები და მასწავლებლები... ასეთი აქტიურობა, ცხადია, დიდად გახარია და მრავლისმეტყველი.

სავსებით გასაგები მიზეზების გამო, მთელი ამ მასალის დაბეჭდვის საშუალება არა გვაქვს, ამიტომ ბოდიშს მოვუხდით ჩვენს კორესპონდენტებს და ვეცდებით ამ სარედაქციო მიმოხილვის მეშვეობით ვუპასუხოთ შეკითხვებზე და ვიმსჯელოთ მათი მოსაზრებების გამო.

არ შევამოკლოთ ქართული

წერილების მოზრდილი ნაწილი ეხება ტერმინებს. გვწერენ, (დ. გარსევანიანი, ე. ეფრემიძე), რატომ არ იხმარება სიტყვები: „ელსმენი“, „რონდა“, „გამზირი“. მოგეხსენებათ, ეს სიტყვები 20-იან წლებში შემოვიდა, მაგრამ ფეხი ვერ მოიკიდა. ამიტომ ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის ავტორებმა ისევ „ტელეფონი“, „ბაგორნი“ და „პროსპექტი“ ამჯობინეს. გვეკითხებიან, რატომ არ შეიძლება „აღლუმის“ ხმარება. შეიძლება! ღ. გარსიაშვილს აგრეთვე არ მოსწონს „ფრთა“ და „ფარა“ (ავტომანქანისა). ორივე დადასტურებულია „ტექნიკური ტერმინოლოგიით“ და, ალბათ, არ ღირს რეგვიზია, მით უმეტეს, რომ უკეთეს ვარიანტს ვერ მივაგნეთ.

ორ ტერმინს ეხება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ჰიგიენისტი პროფესორი ვ. კაკიტაძე: 1. „ნახმარი წყალი“. ზოგნი ხმარობენო „ჩამდინარე წყალი“ (ისევ „ტექნიკურ ტერმინოლოგიაში“), „გამოყენებული წყალი“, „გასასუფთავებელი წყალი“. თვითონ „ნახმარი წყლის“ მომხრეა. ვფიქრობთ, ანგარიში უნდა გაეწიოს, როგორც სპეციალისტს. 2. პატივცემული პროფესორის აზრით, უნდა იყოს არა „სანიტარიული“, არამედ „სანიტარული“.

რაკი არის „სანიტარი“ და „სანიტარია“, ალბათ, მართებული იქნება პირველისგან ვაწარმოოთ „სანიტარული“, ხოლო მეორისგან — „სანიტარიული“.

უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკის (იქნებ მსჯელობისთვის გამოვიტანოთ საკითხი: ხომ არ სჯობს „უქსოვი ფართლეული“?) ინჟინერი ე. ტაგანაშვილი გვწერს, რომ უნდა იხმარებოდეს არა „სუბმოიჯარადრე“, არამედ „ქვემოიჯარადრე“. ვფიქრობთ, სავსებით მართებულია, თუ ეკონომისტები შეანარსობრივად არ განასხვავებენ, მაგრამ „უფრო სწორი იქნება „ქვემოიჯარე“.

მკითხველებმა კვლავ წამოჭრეს საკითხი: „პაპა“ და „ბაბო“, თუ „ბაბუა და ბებია“ (რ. სალუქვაძე). ცხადია, ქართულ-კახეთს „ბაბუაზე“ ვერ გადავიყვანთ და იმერეთს — „პაპაზე“. იყოს ორივე, მაგრამ ოფიციალურ საბუთ-მასალებში, ალბათ, მაინც „პაპას“ და „ბებიას“ ნიმე წლის წინათ მწერალთა კავშირში საგანგებო სხდომაც კი მიეძღვნა ამ საკითხს. უმჯობესობამ დაგმო ასეთი მიმართვა, უმცირესობამ „შესაწყნარებლად მიიჩნია მისი ხმარება მხოლოდ რუსული მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას, როცა საჭიროა კოლორიტის შენარჩუნება. ისე რომ, საკითხი გადაწყვეტილია. დანარჩენი უკვე თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული.

ეს ძალზე საჭირბოროტო საკითხებია. ეს ენა ბალავრად უდგას ერის უკვდავებას, ეროვნულ ინსტიტუტებში ვითარდ ე ბ ა. იგი უმტკიცესი და უმოკლესი ხიდია, რომელიც ადამიანს აკავშირებს, ამეგობრებს, ამოყვარებს სხვა ერებთან, სხვა ენებთან, საერთოდ, გარემომცველ სამყაროსთან. ჭეშმარიტად საბრალობელია კაცი, რომელიც თავის შობლიურ ენას სრულყოფილად ვერ ფლობს, რამეთუ, ისევ უშინსკის ბრძნულ შეგონებას დავესესხოთ, „... თუ ის ენა, რომელზეც იწყობს ლაპარაკს ბავშვი, იწინააღმდეგება მის თანდაყოლილ ეროვნულ ხასიათს, მაშინ ეს ენა ვერასდროს ვერ მოახდენს ისეთ ძლიერ გავლენას მის სულიერ განვითარებაზე, როგორსაც მოახდენდა მისი შობლიური ენა“.

ეს დიდი სახელმწიფოებრივი და ეროვნული საკითხი ჩვენი საზოგადოებრობის უკლებლივ ყველა წევრის ღვიძლი საქმეა, რადგანაც სკოლაში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების და ეუმჯობესების დედაენისათვის ჩვენი ზრუნვის პრაქტიკული გამოხატულება. ცხადია, სასკოლო სახელმძღვანელოების გაუმჯობესება-სრულყოფა მხოლოდ ნიჭიერ, ღრმად კომპეტენტურ, თანამედროვე ბავშვის ფსიქოლოგიაში ჩახედულო, სულითა და გულით მოწადინებულ სპეციალისტებს უნდა მიენდოს. სასკოლო სახელმძღვანელოების ენა უმაღლესი ნიმუშების დონეზე უნდა იდგეს. ისინი ყმაწვილს მარტო ქიდნას კი არ უნდა აძლევდნენ, არამედ მშობლიური ენასაც სრულყოფილად ასწავლიდნენ და აყვარებდნენ. ბალავარი მშობლიური ენისა, უფნარესად სკოლა და ისევ სკოლა.

არასოდეს დამავიწყდება თელავური და დუშური საღამოები, რომლებზეც სწორედ მშობლიური ენის სწავლების, მისი სიწმინდის დაცვის სეზონთოროტო საკითხებზე იყო სჯა-ბაასი — გულითადი, ზოგჯერ მძაფრი, მაგრამ სიყვარულით აღსავსე. ეს წერილიც იმ საღამოების თავისებური გამოძახილია.

არჩილ გოგელია,
ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი.



ზღვას თავისებური სილამაზე და თავისებული საიდუმლოებანი აქვს, იგი ბევდამ გვხიბლავს და გვაოცებს. განსაკუთრებით მიესწრაფვიან ზღვას ზაფხულობით. ირღვევა ზღვისპირეთის ჩვეული სიმშვიდე და ყველა ეძიებს მისთვის სასურველ ადგილსაც ყოფელს — შეჩვეულსა თუ უცნობს, და ამით უფრო საინტერესოს, ახალს, შთამბეჭდავს. ციხისძირის მიდამოები განსაკუთრებით თვალწარმტაცია, კლდოვანი ნაპირი და ზღვაში კუნძულებივით გაფანტული ლოდები თავგადასავლების მოყვარულთათვის რომანტიკულ განწყობილებას ქმნის.

ზღვა გველოდება!

ზ. დათუაშვილის ფოტო.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ფეხბურთის ამბები

უმაღლესი ლიგა

გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის მატჩები. ამჯერად „ბილისის „ლოკომოტივი“ სტუმრად, „სიმფეროპოლში ადგილობრივ „ტავრიასთან“ ითამაშა. თბილისელებმა ეს შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 3:0. პირველ ტაიმში ანგარიში გახსნა სულაქველიძემ, შესვენების შემდეგ კი კაკილაშვილმა და შენგელიამ გაზარდეს ანგარიში. ამ დღეს დინამოელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია (ცაგა), სვანაძე (ანდღულაძე), სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი, შენგელია. წინა ტურის შემდეგ თბილისელები მეოთხე ადგილზე იყვნენ. მათ ეს პოზიცია ამ ტურის შემდეგაც შეინარჩუნეს. გათამაშების ცხრილის პირველ სამეულშიც არ მომხდარა ცვლილებები: კიევის „დინამომ“ დამარცხა მოსკოველ თანაკლუბელთა გუნდი (3:0), „სპარტაკმა“ — „ჩერნომორეცი“ (4:1), ხოლო „ტორპედომ“ — „ზენიტი“ (1:0). დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: ცსკა-მინსკის „დინამო“ — 2:1, „შახტიორი“-„ფახთაქორი“ — 1:1, „ყუბანი“-„არარატი“ — 5:1, „დნეპრი“-„ყაირათი“ — 4:3.

აღსანიშნავია ისიც, რომ წლევანდელი ჩემპიონატის ამ ტურში, წინა ტურებთან შედარებით ყველაზე მეტი ბურთი გავიდა — 30.

დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასე არიან განლაგებული:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ)	14	10	4	0	19-5	24
„სპარტაკი“	13	8	2	3	26-14	18
„ტორპედო“	14	7	4	3	15-9	18
„დინ.“ (თბ)	14	7	3	4	23-12	17
ცსკა	14	6	4	4	18-14	16
„ყაირათი“	14	5	5	4	17-16	15
„არარატი“	15	5	5	5	14-17	15
„დინ.“ (მ)	14	5	4	5	16-14	14
„ზენიტი“	14	5	3	6	16-17	13
„დინ.“ (მნ)	13	4	5	4	12-12	13
„ყუბანი“	14	5	2	7	15-15	12
„შახტიორი“	13	4	4	5	14-18	12
„ტავრია“	14	4	4	6	11-15	12
„ნეფთჩი“	14	3	6	5	8-16	12
ასკ	13	3	4	6	13-21	10
„ჩერნომ.“	14	3	4	7	11-19	10
„დნეპრი“	14	3	3	8	14-27	9
„ფახთაკ.“	13	3	2	8	12-18	8

პირველი ლიგა

რაც შეეხება პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების გათამაშებას, აქ თხუთმეტი ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ხარკოვის „მეტალისტი“ — 21 ქულა. ქუთაისის „ტორპედო“ და ოდესის არმიელთა გუნდი 20-20 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქუთაისის „ტორპედოში“ სათამაშოდ მიიწვიეს ძმები მაჩაიძეები, რომლებმაც მეთხუთმეტე ტურის მატჩში მიიღეს მონაწილეობა.

იუნიორთა საერთაშორისო...

საშრანგეთის ქალაქ ტულონში გამართულ ახალგაზრდული ფუდების საერთაშორისო ასპარეზობაში (21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის) სსრ კავშირის ნაკრებმა მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. საბჭოთა სპორტსძიებებმა ამ ადგილისათვის გამართულ შეხვედრაში დაამარცხეს საფრახგეთის ხაკრები. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ—0:0. პენალტების სერიით წარმატება საბჭოთა ფეხბურთელებს ხვდათ — 4:3. გუშინ ფინალური მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ბრაზილიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ეს მატჩი გვიან ღამით დამთავრდა.

ᲩᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნიჭარა სავარცხელა“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — მულტიკლეიკაციური ფილმები — „მაფინი და მისი მეგობრები“, „ბებალი ჩიტორნი“, 11.00 — „ალოოტეული“, 11.50 — კინოჟურნალი „პორტიზონტი“ № 21, 12.30 — მხატვრული ფილმი „სკოლის დირექტორის დღიური“, 17.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფეერია მანეკენზე“, 17.30 — განცხადებები, 17.35 — მოსწავლეთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.05 — ქართული საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლის პარკი“, 18.15 — მოსწავლეთათვის — კონცერტი, 18.45 — „ძეგობრების ხელოვნება“ — ა. ტიგიანანის ოპერა „ანუში“ (სომხეთის გელეევიზიის ნაწარმოები), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „კრასნოდარის“ — „ყუბანი“—თბილისის „დინამო“, 14 ივნისის მატჩის მეორე გაიმის ვიდეოჩანაწერი, 23.25 — „მოამბე“, 23.40 — საეტრატო სიმღერის საგელეევიზიო ფესტივალი. „შენ ჯიმღერ, ჩემო სამშობლოო!“ (გადაცემა მეექვსე).

მეორე პროგრამით: 18.10 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია, 18.55 — განცხადებები. 19.00 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ძეგოქვები“.

16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“. საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვენი კრენგოლში“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — მულტიკლეიკაციური ფილმი „სასწაული ბიჭი“, 11.05 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „აყვავდი, ბაშკირეთო“, 12.05 — ქართული მხატვრული ფილმი „ამბავი აფხაზი ჭაბუკისა“, 13.35 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 17.00 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვასიუკოვკელი გორეადორები“, 17.30 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.00 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“, 18.50 — „საბჭოური ცხოვრების წესი“, „ბიოგრაფიის დასაწყისი“, 19.10 — „ბავშვურთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — კინონარკვევი, 20.40 — მხატვრული ფილმი „ქალაქის დიასახლისი“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — საესტრადო გადაცემა „მუხამბაზი“, 23.45 — „მოამბე“.

მეორე პროგრამით: 18.10 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 18.55 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაპრაკის მერიდიანი“.

17 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაიკალიდან ბუბუყუალამდე“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — ქართული საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ივანე ჯაკახიშვილი“, 11.05 — მოსწავლეთათვის — „წყაროსთვალი“. 11.55 — მულტიკლეიკაციური ფილმები — „ეშმაკის ოინები“, „ჯაჭვური რეაქცია“, „ვაშლი“, 12.20 — მხატვრული ფილმი „ქალაქის დიასახლისი“, 13.35 — ტელეკურსი მათემატიკაში, 17.00 — ქართული საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „მე-60 პარალელს იქით“, 17.30 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.00 — ბავშვებისათვის — კონცერტი, 18.40 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „სანლი, რომელიც ვცხოვრობ“ (ტელეფაყურებელთა გამოხმაურება), 19.30 — „ვიიმოქმედოთ გაბედულად, ვიმეშაოთ შეუპოვრად“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — მულიკალური შესვენება, 20.35 — მელრის ფიკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „აფსნი-67“ (მ.), 20.50 — საგელეევიზიო მხატვრული ფილმი „ეს სიმპათიური მგლები“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ დავით კვიციროძე, 23.35 — „მოამბე“.

მეორე პროგრამით: 18.10 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა, 18.55 — განცხადებები, 19.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მუსლიმა“.

18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბეჭედ“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — „ჩვენს დიდ სამშობლოში“ — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოლდავური ეს-კიზები“, 11.30 — მხატვრული ფილმი „დაივიწყეთ სიყვავ „სიკვდილი“, 13.00 — ტელეკურსი ფიზიკაში, 13.30 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 17.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „ეუშჩიკი პრაღას მიემგზავრება“, 18.25 — მუსიკალური შესვენება, 18.30 — „ეს ხისაკი“ — „ჩვენ ვაშენებთ კოლნიზმს“, 19.15 — „მელრის ანაგოლოგიანეკა“, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“, 20.30 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი სპორტული ცხოვრება“, 20.40 — „პირველად ჩვენ ეკარანზე“ — მხატვრული ფილმი „ეროვნული შერეკილები“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — საესტრადო სიმღერის საგელეევიზიო ფესტივალი „შენ ჯიმღერ, ჩემო სამშობლოო!“ გადაცემა მეშვიდე, 23.10 — „ალოგა ოლეგ ოლეგ ალეგანთან“ (ფილმ-ოლეგ ბეგერით), 23.55 — „მოამბე“.

მეორე პროგრამით: 18.10 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 18.50 — „ეროკი“ ულტრამაღალი ტიპიანი ფილმი „ალაბურაზ თავგადასავალი“.

19 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ